# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (10.047)

12-19 ნოემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ფიროსმანი - ლოდინით დაღლილი ტალანტი



„მე რომ ასი მანეთი მაინც მქონოდა, კარგ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი, ოთახს დავიქირავებდი, მაშინ კი ვხატავდი და ვხატავდი," - ნიკალას ეს ოცნება ბოლომდე აუსრულებელი დარჩა. მხატვარმა, რომლის ნამუშევრები დღეს მილიონებად იყიდება და ჩვენი ქვეყნისთვის დაუფასებელ საგანძურს წარმოადგენს, ცხოვრება ბნელ და ნესტიან სარდაფში დაასრულა. ცხოვრება და არა - სიცოცხლე... ფიროსმანის სიცოცხლე მისი სიკვდილით დაიწყო. მაშინ, როცა მხატვრის სურათები სარდაფებიდან საგამოფენო დარბაზებში გადაჰქონდათ და მათ ხილვას მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა, ნიკალას დასუსტებული სხეული ავადმყოფობასთან ბრძოლას ბნელ და ცივ ხუხულაში განაგრძობდა.

მას არ გაუვლია სამხატვრო სკოლა. სწავლობდა თბილისის შემოგარენში მდებარე ეკლესია-მონასტრების ფრესკებიდან. ხატავდა ყველაფერზე: კედლებზე, ქაღალდზე, მუშამბაზე... შავ საღებავს ზოგჯერ ჭვარტლისგან ამზადებდა... ხატავდა და ცოცხლობდა იმ იმედით, რომ ოდესმე ნორმალურ პირობებში შეძლებდა მუშაობას.

## მირზაანელი მწყემსი

***1862 წლის 5 მაისს კახეთის სოფელ მირზაანში, ასლან ფიროსმანიშვილის ოჯახში ვაჟი გაჩნდა — ნიკო. ასლანი ცნობილი მებაღე იყო და სამშვილიან ოჯახს ლუკმაპური არ უჭირდა, მაგრამ ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა.- ფიროსმანი 8 წლის იყო, როცა დედ-მამა ერთდროულად გაუხდა ავად და თითქმის ერთდროულად გარდაეცვალა. სამი ბავშვი (მარიამი, ნიკო და ფეფუცა) უპატრონოდ დარჩა. უკეთესი ცხოვრების საძებნელად თბილისს მიაშურეს, სადაც შინამოსამსახურეებად დადგნენ. რამდენიმე წელიწადში ავადმყოფობამ უფროსი და — მარიამი შეიწირა. გულაცრუებულმა ნიკომ და ფეფუცამ მირზაანში დაბრუნება გადაწყვიტეს. უმცროსმა დამ მეურნეობა მოაწესრიგა,14 წლის ნიკო კი მწყემსად დადგა. უცქერდა ნიკალა მშობლიურ მინდორ-ველებს და მასში თანდათან მძაფრდებოდა დაუძლეველი სურვილი მშობლიური გარემოსა და ხალხის ასახვისა. რამდენიმე წელი იყო ფიროსმანი მწყემსად.***

ერთ დღესაც გვარის უხუცესმა გადაწყვიტა ნიკო ქალაქში სასწავლებლად გაეშვათ. შენს დას ჩვენ ვუპატრონებთო, - დააიმედეს ნიკო და ქალაქში გაისტუმრეს. სწავლის ნაცვლად ისევ მოჯამაგირედ მუშაობა მოუწია ნიკოს. რამდენიმე წლის შემდეგ კი იძულებული გახდა და რკინიგზაზე დაეწყო მუშაობა.

## უკიდურესად უხეში

1888 წლის გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. ნიკო რკინიგზის სამორიგეოში იყო. ხატვამ იმდენად გაიტაცა, რომ მორიგეობა სულ გადაავიწყა. ამ დროს დერეფანში უფროსმა გამოიარა და სამორიგეოს ღია კარში ისე შევიდა, ნიკოს არც გაუგია. უფროსმა ცოტა ხანს უყურა ხატვით გართულ მორიგეს, მერე ნახატი ხელიდან გამოსტაცა და გარეთ ისროლა. გამწარებული ნიკო უფროსს მივარდა და იატაკზე დასცა. "თავი დაანებე, სამსახურიდან დაგითხოვენ," — ცდილობდა მხატვრის დამშვიდებას მისი მეგობარი. "რისი უფროსი, რა უფროსი," — ყვიროდა ფიროსმანი, — "მოვკლავ მაგ მამაძაღლს, თამარის პორტრეტი დამიხია, მაგ ძაღლიშვილმა!" მართლაც გაათავისუფლეს „უკიდურესი უხეშობისთვის".

მეგობრების დიდი თხოვნის შემდეგ უკან დააბრუნეს, მაგრამ ნაგებობათა და ლიანდაგის რემონტის სამსახურში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი — სატვირთო მატარებლის ღია პლატფორმის კონდუქტორად. სუსტი ჯანმრთელობის გამო მუდმივად ავადმყოფობდა და იძულებული გახდა სამსახურიდან წასვლის განცხადება დაეწერა: "გთხოვთ ხელმეორედ დამითხოვოთ სამსახურიდან, რადგან ავად გავხდი ქრონიკული სურდოთი, რომელიც სუნთქვას მიშლის. ავად ვარ გულით, თავის ტკივილები მაქვს და რევმატიზმი." განცხადების მეორე გვერდზე უფროსის რეზოლუცია: „ფიროსმანიშვილის დათხოვნა მეტად სასურველია, რადგან მისი ავადმყოფობა მეტად ცუდი მაგალითის მიმცემია სხვა მოსამსახურეებისათვის."

## სახლი მირზაანში

მეგობრებმა არ მიატოვეს ნიკალა და ფული შეუგროვეს, რომლითაც მხატვარმა დუქანი დაიქირავა და რძის ნაწარმით ვაჭრობა დაიწყო. ფიროსმანმა დუქნის თეთრი კედლები საკუთარი ხელით მოხატა. ფრიზის სახით წითელი, შავი და თეთრი ძროხები დახატა. ნამუშევრებს დიდი წარმატება ჰქონდა. ვაჭრობაც კარგად აეწყო, მაგრამ ნიკოს ის მაინც მძიმე ტვირთად აწვა. მასში დღითიდღე იზრდებოდა გარშემომყოფებისა და მშობლიური ბუნების ფუნჯით გამოსახვის სურვილი. ხატვა მისთვის მოთხოვნილებად იქცა.

ერთ დღესაც გადაწყვიტა მირზაანში ძველი სახლის ადგილზე ახალი აეშენებინა. მართლაც, ასეც მოიქცა და სახლის კედლები იქაც თავად მოხატა. სურათებზე სოფლის სცენები და პეიზაჟები იყო ასახული. ყველას ეგონა, რომ ნიკო ქალაქს მიატოვებდა, ჩამოიყვანდა ახალგაზრდა ცოლს და სოფელს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ახალ სახლში გამართული მხიარული ქეიფის შემდეგ ფიროსმანი მირზაანში აღარ დაბრუნებულა.

## მარგარიტა

ნიკალას ცხოვრებაში ერთადერთმა სიყვარულმა მოჩვენებასავით გაიელვა. კაფე შანტანის მომღერალ-მოცეკვავე ფრანგმა ქალმა, მადმუაზელ მარგარიტამ დაატყვევა ფიროსმანი. ნიკო ისეთი ბედნიერი იყო ამ სიყვარულით, რომ მარგარიტასთვის არაფერს იშურებდა. საჩუქრები, ძვირფასეულობა, ყვავილები - ყველაფერი მას. მარგარიტამ შეიტყო, რომ ნიკო უბრალო მედუქნე იყო და ყველაფერი მას შესწირა, ამიტომ მისი ცხოვრებიდან წასვლა გადაწყვიტა. ფიროსმანი გააფრთხილა, რომ მეორე დღეს მასთან არ მისულიყო, რადგან ეკლესიაში წასვლასა და მათი ბედნიერებისთვის ლოცვას აპირებდა. ნიკომ დაუჯერა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ისევ გაეშურა თავისი ერთადერთი სიყვარულის სანახავად. სასტუმროში უთხრეს, რომ მარგარიტა პარიზს გაემგზავრა. განცდილმა ტკივილმა სამუდამო დაღი დაამჩნია მხატვრის გულს. ასე დასრულდა მისი შეძლებული ცხოვრებაც, სიტყვაძუნწი და ჩუმი გახდა. ასეთი ტკივილით შექმნა ნიკომ მარგარიტას პორტრეტი. თეთრ ფერს ის სიყვარულის, სიკეთისა და სულიერი სიწმიდის სიმბოლოდ თვლიდა, ამიტომ დახატა მარგარიტა თეთრი ფერით. აქედან დაიწყო მხატვრის ხელმოკლე ცხოვრება. მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ დუქნების აბრებისა და კედლების ხატვა იქცა. მედუქნეები კაპიკების სანაცვლოდ ახატინებდნენ ნიკალას დუქნებს. მუშაობა ბნელ და ცივ ოთახებში უხდებოდა. აღებული თანხა ზოგჯერ საღებავებისთვისაც არ ჰყოფნიდა. ცხოვრობდა იქ, სადაც სამუშაოს მისცემდნენ.

## ფიროსმანის აღმოჩენა

***პირველები, რომლებმაც ფიროსმანის ტალანტი დააფასეს, ძმები ზდანევიჩები იყვნენ. ერთ-ერთ დუქანში ნანახი ნახატებით მოხიბლულებმა მხატვრის ძებნა დაიწყეს. მალე იპოვეს კიდეც. ილია ზდანევიჩი იხსენებდა: "მივედით მალაკნების ქუჩაზე ერთ სახლთან. აქ გვიჩვენეს: აგერ, ნიკალა ქვაფენილზე დგასო. მას ფუნჯით გამოჰყავდა წარწერა "სარძეო". ჩვენკენ მობრუნდა, ღირსეულად თავი დაგვიკრა და განაგრძო მუშაობა. ეს შეხვედრა დამამახსოვრდა: თეთრ კედელთან დგას მხატვარი დახეულ შავ პიჯაკში, თავზე ახურავს რბილი ფეტრის ქუდი. მაღალი, მშვიდი, ამაყი, მაგრამ გულში ჩამარხული რაღაც მწუხარებით".***

ძმებმა ზდანევიჩებმა მიშელ ლე-დანტიუსთან ერთად თბილისის სხვადასხვა უბნებში ფიროსმანის ნახატების შეგროვება დაიწყეს. მედუქნეები ზოგჯერ კაპიკებად აძლევდნენ ნახატებს, ზოგჯერ კი დიდი ბრძოლა სჭირდებოდათ "ფიროსმანისტებს". ილია ზდანევიჩმა პრესაშიც გამოაქვეყნა წერილი, რომელსაც საშინელი რეაქცია მოჰყვა. "უსწავლელი მხატვარი და მისი "მეცენატები" ძლივს მოჩიტული ბარტყებიო," მაგრამ ფიროსმანისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობდა. 1913 წელს მისი სურათები მოსკოვში გააგზავნეს გამოფენაზე. ეს იყო ფიროსმანის პირველი გამოჩენა ფართო საზოგადოების წინაშე.

1915 წელს თბილისში ჩამოსულმა კირილე ზდანევიჩმა ნახატების შეგროვება განაგრძო. დაადგინა, რომ ორთაჭალაში, ელდორადოს ბაღში იყო ბევრი ნამუშევარი. ზდანევიჩი ეჭვმა შეიპყრო, რომ ნამუშევრები განადგურებული იქნებოდა, რადგან ცოტა ხნის წინ ეს ადგილები დაარბიეს. მაგრამ ელდორადოში შესვლისთანავე გულზე მოეშვა. აივანზევე დაინახა ლეგენდარული "ჟირაფი" და "ორთაჭალის ტურფა". მასპინძელმა კიდევ რამდენიმე ნახატი მიჰყიდა ზდანევიჩს იაფად, მათ შორის იყო "შავი ლომი". კირილეს დიდი შრომა დასჭირდა, რომ ნახატები მრავალი წლის ჭუჭყისა და მტვრისაგან გაეწმინდა.

## ნიკალას ტკივილი

1915 წელს მხატვართა კავშირის თხოვნით ლადო გუდიაშვილმა კვლავ მოძებნა ფიროსმანი, რათა მისთვის მცირედი თანხა გადაეცა. ლადომ ის დიდუბეში პატარა სახლის კიბის ქვეშ იპოვა დაუძლურებული. ნიკომ თავისი ტკივილი გაუზიარა გუდიაშვილს: "ჩემი ცხოვრება ჯვარცმაა, რასაც ვეწამები. სასტიკად ვიტანჯები ყველა მედუქნის კინტოსა და სხვა ნაძირალის თვითნებობისგან...

მე ვიცნობ ჩემი ქვეყნის ისტორიას, ვიცნობ რუსთაველს, ილიას, ვაჟას... მე მათ ჩემებურად ვხატავ. დაე, სხვებმა გაიცინონ ჩემს ნამუშევრებზე... მაგრამ მე ჩემი გზით მივდივარ.

ცხოვრება კონტრასტია: მდიდარი -ღარიბი, კეთილი - ბოროტი...

როცა ორთაჭალის ტურფებს ვხატავ, მე მათ შავი ცხოვრების ფონზე ვათავსებ, მაგრამ მათაც აქვთ ცხოვრების სიყვარული -ეს არის მათ ირგვლივ მოთავსებული ყვავილები და ჩიტები. მათ თეთრ ზეწრებში გახვეულებს ვხატავ, მებრალებიან, თეთრი ფერით ცოდვებს ვაპატიებ.უშვილო მილიონერი მდიდარია, ბედნიერი, სხვისი უბედურებისათვის ყრუა. ის ბატონია. ბავშვებიანი ღარიბები ფეხშიშვლები, მშივრები არიან. ისინი მებრალებიან."

## გარდაცვალება

ერთ დღეს ილია ზდანევიჩს უნდა ენახა ნიკო, რათა მის პორტრეტზე მუშაობა გაეგრძელებინა. შუადღისას შეუარა. მხატვარი ოთახის კუთხეში, სკამებზე გადებულ ფიცარზე წამოწოლილი ისვენებდა. "ჩემი ტალანტი დაიღალა ლოდინით, მე დილით გელოდი, შენ კი დაიგვიანეო," -უსაყვედურა ფიროსმანმა.

-ის მართლაც დაღლილი იყო... ავადმყოფობით, შიმშილით, დაუფასებლობით...

1918 წლის გაზაფხულზე ნიკალას ჯანმრთელობა გაუარესდა. ერთ საღამოს მალაკნის ქუჩა 29-ში სარდაფში ჩავიდა და იატაკზე დაწვა დასაძინებლად. სამი დღე გაატარა სიბნელესა და ნესტში. მესამე დღეს შემთხვევით იპოვა არჩილ მაისურაძემ და მაშინვე არამიანცის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც დღენახევრის შემდეგ გარდაიცვალა.

***

ათწლეულების მანძილზე ფიროსმანის გარშემო მთელი ინდუსტრია შეიქმნა, რომლის ცენტრშიც ერთი უიღბლო, ლოთი მხატვარი იდგა, რომელიც ***"ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,/ მერე შეკრთება ვით მთვარეული/ და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს".*** გიორგი კაკაბაძე იმასაც წერს, რომ "მომხიბლავი ტყუილი მწარე სიმართლეზე სასიამოვნო მოსასმენი აღმოჩნდა და ამგვარი დამოკიდებულების გამო ფიროსმანი, ფაქტობრივად, ახალი ინდუსტრიის ობიექტად გადაიქცა". კაკაბაძის მიზანი ამგვარ დამოკიდებულებასთან ბრძოლაა: "მე შევეცადე, რომ ყოველივე ამისგან გამეთავისუფლებინა ფიროსმანი, დავყრდნობოდი მხოლოდ იმ საბუთებს, რომელიც არსებობს ფიროსმანის შესახებ და არა მარტო ფიროსმანის, არამედ იმ ისტორიული ფონის შესახებაც, რომელიც მაშინ იყო."

ფიროსმანის შესახებ უკვე დიდი ბიბლიოგრაფია არსებობს, მასზე აუარება წიგნი თუ სტატია დაიწერა, მაგრამ ამ კვლევებსა თუ მოგონებებში, ვარაუდებსა თუ შეფასებებში, როგორც წესი, ხარვეზები და უზუსტობები ჭარბობს. გიორგი კაკაბაძე ბევრი ცნებისა თუ მცდარი შეხედულების გადაფასებას ახდენს. ეს შეეხება ფიროსმანის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ წოდებას "პრიმიტივისტი", რომლის წარმოშობასაც ავტორი დეტალურად მიმოიხილავს, მოგვიანებით კი თავისი ტერმინის დამკვიდრებასაც ცდილობს - "ფიროსმანიზმი".

ავტორს ბევრი საინტერესო დაკვირვება მოჰყავს. მაგალითად, იგი ერთგან წერს, ფიროსმანი ლამაზი და გულღია ადამიანების ცხოვრებას ხატავდა და ხშირად აღწერდა საოჯახო დღესასწაულებსო, შემდეგ კი დასძენს: "უნდა აღინიშნოს, რომ თავად ფიროსმანი არასოდეს მონაწილეობს ამ დღესასწაულებში, მის ნახატებს რატომღაც სხვის ზეიმზე მოხვედრილი პატარა ბავშვის მარტოსული და გაუცხოებული მზერა ახლავსო." მარტოსული და საზოგადოებისგან გარიყული ფიროსმანი უსაფლავო გენიოსად იქცა, რომელმაც ფერებისა და სამყაროს სიყვარული, სამოვარსა და ჩაის თანხლებით ხელოვნებაზე საუბარის ოცნება იმქვეყნად წაიღო...

დღეს მთაწმინდაზე მისი სიმბოლური საფლავი არსებობს. ნამდვილი სამუდამო განსასვენებლის ძიება კი კვლავ გრძელდება.

***წელს ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 160 წელი სრულდება. 12 ნოემბერს გენიალური მხატვრის მშობლიური გარემო უმასპინძლებს ნიკალას ნიჭის თაყვანისმცემლებს და კიდევ ერთხელ დააფიქრებს ადამიანებს წუთისოფლის ამაოებასა და გენიოსის ხვედრზე.***


**მასალა მოამზადა**

ინგა შიოლაშვილმა

# გალობის სკოლის წარმატება

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეექვსე ეროვნული კონკურსის მეორე ტურის შედეგად: დედოფლისწყაროს ჰ.გონაშვილის სახ. საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის გუნდი მეორე ტურში შეფასდა -95.9 ქულით. ანსამბლი გავიდა საპრიზო კატეგორიაში და მოიპოვა - ბრინჯაოს მედალი.





# კახეთში რეგიონული ჭაჭის ფესტივალი გაიმართა

ფესტივალი „ჭაჭა“ 2018 წლის 3 ნოემბერს დაფუძნდა, საქართველოს კულტურის პალატის, ტურიზმის განვითარების ასოციაციის ინიციატივით, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით და მასში კახეთის რეგიონში შემავალი რვავე მუნიციპალიტეტის ფერმერები, გლეხები, მცირე მარნები და ჭაჭის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობენ.

ადგილზე მოსულ სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ ქ. თელავში, ერეკლე მეფის მოედანზე კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი შემოდგომის თემატური კუთხეები.

ფესტივალის მიზანია ყურძნის ჭაჭისგან დამზადებული არაყის, როგორც დაცული რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის პოპულარიზაცია, ჭაჭის მწარმოებელი ფერმერების, გლეხების, მცირე მარნებისა და კომპანიების წახალისება-ხელშეწყობა, მათ მიერ წარმოებული საუკეთესო ჭაჭის ნიმუშების გამოვლენის გზით.

„ფესტივალი ჭაჭა - 2022“- ის გამარჯვებულები არიან:

* „ვარდიაშვილის ოჯახის ღვინო“ - ოქროს მედალი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი);
* „ზურაბ კვირიაშვილის ვენახები“ - ვერცხლის მედალი (თელავის მუნიციპალიტეტი);
* „მუხიგული 1770“ - ბრინჯაოს მედალი (ბოლნისის მიკროზონა).




# კლინიკების დაფინანსების მექანიზმი იცვლება

***საქართველოში კლინიკების დაფინანსების მექანიზმი იცვლება. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა. DRG სისტემით დაფინანსების მოცულობას პაციენტის დიაგნოზი, ასაკი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს.***

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ილია ღუდუშაური განმარტავს, ცალკეული მომსახურებისთვის კლინიკებს პაციენტებისთვის დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აღარ ექნება.

DRG სისტემის დანერგვის შემდეგ, სამედიცინო მომსახურების მიღებისას, პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი ითვალისწინებს ( 0-დან 30%-მდე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პაკეტების შესაბამისად).

„DRG-ის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ პაციენტს დაფინანსება დიაგნოზის მიხედვით უნაზღაურდება. შესაბამისად, კონკრეტულ დიაგნოზზე განსაზღვრული არის კონკრეტული ტარიფი, არ აქვს მნიშვნელობა, რა ჩარევა სჭირდება, ოპერაცია, რეანიმაცია თუ ა.შ. ყველა ეს ჩარევა უნდა გაკეთდეს და სახელმწიფო დიაგნოზის მიხედვით გადაუხდის. იცვლება მხოლოდ გადახდის პრინციპი. გადახდის პრინციპი არის ურთიერთობა კლინიკებსა და სახელმწიფოს შორის, პაციენტისთვის არაფერი იცვლება გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ადგენს ახალი თამაშის პირობებს კლინიკებისთვის. თუ დღემდე კლინიკას შეეძლო, რომ მოეთხოვა პაციენტისთვის თანაგადახდის გარდა დამატებითი დაფინანსება, მას შემდეგ რაც ახალი მოდელი ამოქმედდება, ამის უფლება კლინიკას აღარ ექნება", - განაცხადა ღუდუშაურმა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, DRG სისტემა არ გავრცელდება და დაფინანსება გაგრძელდება არსებული მეთოდით შემდეგ სამედიცინო მომსახურებაზე:

1. გეგმური და გადაუდებელი ამბულატორია
2. ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) ინტენსიური მოვლა/მკურნალობა
3. გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობა
4. მშობიარობა / საკეისრო კვეთა
5. ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია და მასთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები
6. კომბუსტიოლოგია
7. თრომბოლიზისი და თრომბექტომია, ინსულტის შემთხვევაში
8. სხვა მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება

ცნობისთვის, აღნიშნული მოდელი მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ეხება და არ ვრცელდება კერძო სადაზღვევო კომპანიებსა და კლინიკებზე. აღნიშნულ პროგრამამდე სახელმწიფო ჰოსპიტალს კონკრეტულ შემთხვევაზე დადგენილი ტარიფების მიხედვით უხდიდა ანაზღაურებას.

## სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, 15 ნოემბრამდე, ყველასათვის უფასოა

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, 15 ნოემბრამდე, ყველასათვის უფასოა. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრა, 6 თვის ასაკიდან, უფასოა. ნებისმიერი მსურველი, მომსახურებას, ვაქცინაციის პროცესში ჩართულ, 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.

„იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ, 200 000 დოზა,„სანოფი პასტერის“ წარმოების, ოთხ-კომპონენტიანი ვაქცინა შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმოს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა, ვაქცინაცია სექტემბრის ბოლოს დაიწყო.

პირველ ეტაპზე, მომსახურება, დაავადების გართულების მომატებული რისკის მქონე პირებმა მიიღეს. 15 ნოემბრამდე კი ვაქცინაცია ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

# დიალიზი და კომპიუტერული ტომოგრაფია დედოფლისწყაროში

**დედოფლისწყაროში სულ მალე დიალიზისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის, ე.წ. KT-ს ჩატარება იქნება შესაძლებელი. ეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მომსახურებებია, რომლებიც დედოფლისწყაროში არასოდეს ყოფილა. ამ მომსახურების ადგილზე არარსებობის გამო პანდემიის პერიოდში კოვიდ-ინფიცირებული პაციენტების გურჯაანში ტრანსპორტირება ხდებოდა, მათ კი რიგში დგომა უწევდათ.**

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, შესაბამისი აპარატურის ნაწილი უკვე არსებობს და საავადმყოფოში საჭირო ფართის გამოყოფას ელოდება. მერის მტკიცებით, ეს სიახლე დედოფლისწყაროში უახლოეს თვეებში დაინერგება, რაც ადგილობრივებს ვითარებას ბევრად გაუადვილებს.

„უკვე შესყიდულია კომპიუტერული ტომოგრაფიისთვის საჭირო აპარატურა და ფართის გამონახვისთანავე ჩამოვიტანთ. დაახლოებით მომავალი წლის თებერვლისთვის, უკვე შესაძლებელი იქნება, დედოფლისწყაროს საავადმყოფოში კომპიუტერული ტომოგრაფიის, ე.წ. კტ-ს გადაღება. პაციენტებს აღარ მოუწევთ უცხო ქალაქებში ასობით კილომეტრზე სიარული და ხარჯებთან ერთად ისინი დროსა და რესურსებსაც დაზოგავენ.როგორც ჩემთვის არის ცნობილი, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს შენობაში საჭირო ფართი აღარ აქვს, ამდენად, გადაწყდა, რომ საავადმყოფო ახალ ფლიგელს მიაშენებს, სადაც ეს მომსახურება განთავსდება. ასევე მნიშვნელოვანია დიალიზის ადგილზე დაწყებაც, რადგან კვირაში რამდენჯერმე უწევთ დედოფლისწყაროელ პაციენტებს სისხლის გასაწმენდად კილომეტრების გავლა და მომსახურების მისაღებად გურჯაანში სიარული. ჩვენ სპეციალურად მათთვის ტრანსპორტირების ხარჯებსაც ვფარავთ, მაგრამ რა თქმა უნდა უკეთესია, თუ ამას ადგილზე შეძლებენ. ეს გამოთავისუფლებული ტრანსპორტირების თანხები კი ისევ მათთვის, სხვა კუთხით უნდა მივმართოთ,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ხათუნა აგლაძე „შირაქს“ ეუბნება, რომ კომპიუტერული ტომოგრაფიის ადგილზე დამონტაჟება კლინიკას დამატებით მრავალმხრივ შესაძლებლობებს მისცემს. მისივე თქმით, აპარატურა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგმა შეიძინა და მშენებლობის დასრულებისთანავე დაიწყება პაციენტების მიღება.

საავადმყოფოს შენობის ჩრდილოეთ მხარეს ტექნიკა უკვე მუშაობს, გაჭრილია საძირკველი და დამატებითი ფლიგელის მშენებლობა დაწყებულია.



როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ეი თი ვი“ აწარმოებს. სამუშაოთა მწარმოებლის, ვასილ ტყემალაძის განმარტებით, დამკვეთს შენობა მიმდინარე წლის 10 დეკემბერს უნდა ჩაბარდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ერთი თვე დარჩათ.

დიალიზის მომსახურების მიღება გურჯაანში პანდემიამდეც იყო შესაძლებელი. ამისათვის დედოფლისწყაროს საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს მაცხოვრებლებს კლინიკამდე ტრანსპორტირების ხარჯი უკვე რამდენიმე წელია უფინანსდებათ.

დედოფლისწყაროს მერიის სოციალური სამსახურის უფროსი დოდო ხუნაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მიმდინარე წელს დიალიზის პროგრამაში დედოფლისწყაროდან 12 პაციენტია ჩართული. ბენეფიციარები დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტრანსპორტირებისთვის საჭირო დაფინანსებას ყოველთვიურად იღებენ. ხუნაშვილის განმარტებით, ჯამში ამაზე წელიწადში 27 000 ლარი იხარჯება.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# „მე მარგალიტებს ვეძებდი და არა ნაკლს“

*მახსოვს, როცა პირველად მისი მოთხრობები წავიკითხე, ემოციებისგან დატყვევებულმა ძალიან, ძალიან დიდხანს ვატრიალე ჟურნალის ფურცლები და თავიდან დავიწყე თითოეული წინადადების „შესწავლა“. ერთი ამოსუნთქვა თუ სჭირდებოდა მათ წაკითხვას. თანაც, ყოველი ხელახლა წაკითხული ამბავი იგივე განცდას მიტოვებდა, რომ ეს იყო სიყვარულით, სითბოთი და სევდის შარავანდედით მოსილი მოთხრობები. ეს კი იმდენად ემოციური აღმოჩნდა ჩემთვის, მივხვდი: არსებობს რაღაც, რაც ძალიან ახლობელი, ნაცნობი და შენეული, თქვენეული, ჩვენებურია. ის რაც საერთოა და ის, რაც ალბათ, თითოეულ ჩვენგანს უფრო მეტად აახლოვებს.*



ამ საოცარი ამბავ/მოთხრობების ავტორი კი ეკატერინე ფავლენიშვილია. ჩვენმა მკითხველმა იგი გაზეთის ფურცლებიდან სულ ახლახან შესანიშნავი მოთხობით „ბროლის ქალწული“, გაიცნო, რომელსაც საოცარი რეზონანსი ჰქონდა. გასულ ინტერვიუში ეკატერინემ წიგნის შესახებაც ისაუბრა, რომელმაც ახლახან იხილა დღის სინათლე და „საწუთროს მარგალიტები“ დაერქვა. ამბები წუთისოფელში გაბნეული მარგალიტების შესახებ, რომლებიც ზოგი თუშეთში, ზოგი-ფშავში, ზოგი ხევსურეთსა და კახეთშია ნაპოვნი. ამ მარგალიტებში იგულისხმებიან როგორც ადამიანები, ასევე ამბები და თავად სიუჟეტები.

ეკატერინე ფავლენიშვილი: „წიგნის გამოცემამდე იყო რეზო ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი, სადაც ჩემმა მოთხრობამ „ბროლის ქალწული“ საპრიზო ადგილი დაიკავა. წერა მიზანმიმართულად არ დამიწყია. მწერლობის პრეტენზია არც ახლა მაქვს. არც მქონია რაიმეს წიგნად ქცევის სურვილი. ეს იყო ჩემი გარკვეული ემოციების ფურცლებზე გადმოტანა, ჩემს ცხოვრებაში დაგროვებული მნიშვნელოვანი, ზნეობრივი, ღირებული მომენტების გადმოცემა, რომლებსაც შევხვედრივარ, რომლებიც ჩემს გარშემო იყო გაფანტული. სახელიც „საწუთროს მარგალიტები“ იმიტომ დავარქვი, რომ ეს მოვლენები, ეს ადამიანები, ეს ამბები მარგალიტებია, სხვადასხვა ადგილასა და სხვადასხვა სოციალურ ფენებში გაბნეული. მიმაჩნია, რომ მკითხველმა ეს უნდა იცოდეს. ეს მოვლენები თაობებს ზნეობრივად გაზრდის. „ბროლის ქალწულით“ გამოწვეული რეზონანსი, ალბათ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ხალხს ზნეობრივი სიმაღლე ყოველთვის სჭირდება, მაგრამ მაინც გავოცდი. სწორედ ამ განწყობას მივყევი, რომელმაც ამ წიგნში დამატებით კიდევ 15 ამბავი გააერთიანა.

**-თქვენს წიგნში ზოგადი ამბებია მოთხრობილი თუ ყოველ ამბავს თავისი პერსონაჟი ჰყავს?**

არც ერთი ამბავი არაა პერსონაჟის გარეშე გადმოცემული. ყველას თავისი რეალური ადამიანი ჰყავს. ზოგს ერთი, ზოგს ორი, ზოგსაც რამდენიმე. ბოლო რამდენიმე მოთხრობაში შემოყვანილი პერსონაჟებიც არიან, თუმცა, ამბავი რეალურია. ზოგან სახელი და გვარები შეცვლილია, მაგრამ ძირითადად ისინი შეუცვლელადაა გადმოტანილი.

**-ეს ამბები და პერსონაჟები თქვენი უახლოესი ცხოვრებიდანაა თუ თქვენი ბავშვობის ამბებია ფურცლებზე გადმოტანილი?**

ყველაზე ძველი ისტორია 57 წლის წინანდელი ამბავია (მოთხრობა „ბროლის ქალწული“). ამ ამბავს რეალური პერსონაჟი ჰყავს, რომელიც ჩემი მეუღლის უფროსი დაა. ის ტრაგიკულად გარდაიცვალა. ამიტომ, ამ ღრმა და სევდიან ამბავზე სულ მინდოდა დამეწერა. კითხვაზე პასუხიც, მგონი ნათელია - ამბის უმეტესობას თავად შევსწრებივარ, რამდენიმე მოყოლილი ამბავიცაა, მაგრამ იმდენად უახლოესი ადამიანებისგან მოყოლილი, რომ ასეთ ამბებშიც დიდი სიზუსტეა. მაგალითად, „ბროლის ქალწულში“ საერთოდ არაფერი შემიცვლია. მასში აღწერილი ტირილის ტექსტიც კი ასაკოვანი ხალხისგან მაქვს მოსმენილი.

**-როგორ დაგროვდა წიგნში გადმოცემული ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ თქვენი ცოდნა?**

მე ნახევრად მთის შვილი ვარ, დედის მხრიდან ფშაველი ვარ. ბარი არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ არის ამ მხარეში რაღაც ღრმა, მისტიკური, რაღაც ძალიან, ძალიან მიმზიდველი. აქ სიტყვას განსაკუთრებული ძალა და მადლი აქვს. ტრადიციებს თითქოს უფრო მეტად იცავენ. უნდა ითქვს, რომ ნაწილობრივ სისხლში მაქვს ეს ტრადიციები. იმავდროულად კი ხევსურების რძალი ვარ.




**-ნამუშევრის დასრულების შემდეგ, უბრუნდებით თუ არა მას გადასაკითხად?**

ბევრჯერ ვკითხულობ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ძალიან დავხვეწო. რეზონანსი მაბრუნებს ხოლმე უკან. ამ გადაკითხვის დროს ხარვეზი ბევრი აღმომიჩენია, მიფიქრია, კიდეც, ამხელა რეზონანსის შემდეგ, რა იყო იქ ისეთი, რომ ხალხს მოეწონა, დაინტერესდა, სხვებს გაუზიარა. მხოლოდ ამის გამო ვუტრიალდები დაწერილ ამბებს.

**-იყო თუ არა კრიტიკა რეალური პერსონაჟებისა და ამბის გმირების მხრიდან?**

ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა, რადგან იქ ცუდი კუთხით არავინ მყავს მოხსენიებული. მე მარგალიტებს ვეძებდი და არა ნაკლს. თანაც, ყოველი მათგანისგან, ნებართვა აღებული მაქვს.

**-რა არის მნიშვნელოვანი რამ, რაც ამბავს მარგალიტად აქცევს და მისი ფურცელზე გადმოტანის სურვილს გიჩენთ? რა გაწერინებთ ამბებს?**

ეს არის ეროვნული ძირიდან და ქრისტიანობიდან ამოსული თემები. ის ზნეობის კარგი მაგალითი და ქართული ტრადიცია უნდა იყოს, რომელიც თავისი შინაარსითაც მისაბაძი და საინტერესოა.

**-გაქვთ თუ არა ამბავი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ?**

ვფიქრობ, ასეთი გრძნობა „ბროლის ქალწულის“ მიმართ გამიჩნდა.

**-ისევ ეძებთ მარგალიტებს?**

დიახ, მაშინ განწყობის თემა იყო და ახლა ეს უკვე საქმედ იქცა.

**-თანამედროვეობამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა. მთის ახალგაზრდებში თუა შემორჩენილი ტრადიციებისადმი სიყვარული, პატივისცემა და თუ უფრთხილდებიან მას?**

თუ კი სადმეა ეს შემორჩენილი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ხევსურეთშია. აქვს ამ ხალხს რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ადათ-წესების მიმართ. იცავენ, უფრთხილდებიან, უყვართ. მართალია, ზოგიერთმა ტრადიციამ ფორმა იცვალა, მაგრამ უკეთესობისკენ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, უკეთესიცაა, როცა რაღაც ყავლგასული ფორმას კარგისკენ იცვლის და კეთილად უბრუნდება ისევ ხალხს.

**-სად შეიძლება ამ წიგნის შეძენა?**

ეს წიგნი კულტურის სამინისტრომ მთლიანად საკუთარი ფინანსებით გამოსცა, არაფერი გამიღია, გარდა მასალის მიწოდებისა. პრეზენტაცია ჯერ არ ყოფილა. გამომცემლობისგან უკვე გავიგე, რომ ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში უკვე შეტანილია.

**-რა იქნება შემდეგი ეტაპი? ხომ არ მუშაობთ უკვე ახალ კრებულზე?**

ჩანაფიქრები, რა თქმა უნდა, მაქვს. მადლიერი ვარ იმ ხალხისა, ვინც გადამრთო ამ მიმართულებაზე და უბრალოდ, განწყობიდან წერაზე სერიოზულად დამაფიქრა. რა იქნება, ზუსტად, ვერ გეტყვით. წერა ისეთი საკითხია, ძალიან ბევრ გარემოებასა და პირობას უნდა მოეყაროს ერთად თავი, რომ დაწერო. თუ ეს გარემოებები შემექმნება, ბედნიერი და მოხარული ვიქნები წერის გაგრძელებით. ბევრი რამ მაქვს გონებაში. ახლაც ვმუშაობ, ვერ გეტყვით, ეს ჩანაფიქრები რამდენად მიიღებს მოთხრობის ან მინიატურის სახეს, მაგრამ წერით სულ ვწერ.

*შეუძლებელია ეკატერინე ფავლენიშვილის მოთხრობები წაიკითხოთ და გულგრილად ჩაუაროთ მათ. ამ ამბებიდან ისეთი ემოციები მოდის, თავისთავად რომ იბევებენ გულში ადგილს და ეპატრონებიან თქვენს გულსა და გონებას. მადლობა მას ასეთი ცოცხალი განცდებისთვის, რომელიც არასდროს დამავიწყდება და სამუდამოდ დაიდებენ ბინას ჩემში. წარმატებებსა და ემოციათა მუდმივ გამომზეურებას გისურვებთ, ქალბატონო ეკატერინე. თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ შეარხიოთ ადამიანის გულის ღრმა კუნჭულში არსებული და მივიწყებული სიმები და დამუხტოთ ის დადებითი ენერგიით. მადლობა - ეს ნამდვილად მცირედია.*

*მოამზადა*
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# ახალგაზრდობა–სიცოცხლის გარიჟრაჟი

***ახალგაზრდობის მსოფლიო დღე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის (World Federation of Democratic Youth, WFDY) დაფუძნების აღსანიშნავად ლონდონის ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციაზე 1945 წლის 29 /10 - 10/11 -ში დაწესდა. კონფერენციის ინიციატივა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი ახალგაზრდობის მსოფლიო საბჭოს ეკუთვნოდა. მას შემდეგ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის, ახალგაზრდობის უფლებებისათვის, ერების თავისუფლებისათვის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ორგანიზაციის ყველაზე დიდი ღონისძიებაა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალები. პირველი ასეთი ფესტივალი პრაღაში, 1947 წელს გაიმართა, რომელსაც 17 ათასი ახალგარდა ესწრებოდა.***

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიება გაიმართა. ბიბლიოთეკამ დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის მე-11 კლასის მოსწავლეებსა და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს მარიამ ჩალახეშაშვილს უმასპინძლა. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ახალგაზრდებისა და წიგნის ურთიერთობაზე ისაუბრა: **„მადლობელი ვარ სტუმრობისთვის. მოგილოცავთ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო დღეს. ვერ წარმომიდგენია ქვეყანა, სადაც ახალგაზრდობას პატივს არ სცემენ. მამათა და შვილთა შორის „ბრძოლა“ და განსხვავებულობა ყოველთვის იყო, ეს ილია ჭავჭავაძემ ძალიან კარგად დაგვანახა. თუმცა, ვფიქრობ, ესეც ასაკობრივი სხვაობით და ამ ასაკის თავისებურებებით იყო გამოწვეული. თქვენი სკოლა იმიტომ ავირჩიე, რომ თქვენ ახლოს ხართ რელიგიასთან. ბიბლიოთეკას აქვს ერთი საიდუმლო. ათწილადი კლასიფიკაციით არის აწყობილი მთელი ფონდი, რომელიც ნულიდან - საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან იწყება და უკვე ამის შემდეგ მოდის რელიგია, კონკრეტულად კი ქრისტიანობა. თვითონ ბიბლიოთეკის გამოფენებიც კი ამ თემით იწყება, რადგან ღმერთმა შექმნა სამყარო და ღმერთი კი სიყვარულია, ჩვენც ყველაფერს ამ თემებით ვიწყებთ. მინდა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკაში სტუმრობა და წიგნთან ურთიერთობა ხშირად გადარჩენის ტოლფასია. ჩვენს რთულ წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, 90-იან წლებში ხალხი სწორედ წიგნმა გადაარჩინა. მიჰქონდათ წიგნები და ლამფის შუქზე კითხულობდნენ. ტენდენცია იყო ასეთი. ბიბლიოთეკაში ამჟამად 66,000 წიგნია, მაგრამ თითოეული შემომსვლელი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, მაინც კითხულობს თუ რა გვაქვს ახალი, თანამედროვე საკითხავი. ესაა ყველაზე აქტუალური კითხვა. “**



მანანა მაჭარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას სწორედ ის თანამედროვე წიგნები გააცნო, რაც დღესდღეობით ახალგაზრდებში ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადია. ესენია: მიხეილ კეკელიძე - „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი“ (ახალი გამოცემა), ჯაბა იოსელიანი - „ლიმონათის ქვეყანა“, ნინო ხარატიშვილი - „მერვე სიცოცხლე (ბრილკას), ნიკოლას სპარქსის ყველაზე გაყიდვადი წიგნები, ჯონ სტაინბეკი - „თაგვებსა და ადამიანებზე“, მარიო ვარგას ლიოსა - „საუბარი კათედრალში“ და სხვ. მან თითოეულ წიგნში არსებული ის მნიშვნელოვანი აქცენტები მიმოიხილა, რომლითაც ისინი ზემოქმედებენ ახალგაზრდების ყოველდღიურობაზე, სოციალურ ცხოვრებასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე. მანანა მაჭარაშვილმა ყურადღება გაამახვილა ასევე წიგნთან ახლოს ყოფნის მნიშვნელობაზე.



ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მარიამ ჩალახეშაშვილმა ცენტრალურ ბიბლიოთეკას და მის ხელმძღვანელობას გამორჩენილი ყურადღებისა და მოწვევისათვის მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა: **„ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ისეთ ღონისძიებებზე დასწრება, სადაც კიდევ უფრო მეტს გავიგებთ და ცოდნას გავიღრმავებთ, განსაკუთრებით წიგნთან დაკავშირებით. ჩვენ არაერთხელ გვქონია კლასში მსჯელობა წიგნისა და კომპიუტერის მუდმივი „პაექრობის“ თემაზე. ძირითადად ყველა მაინც წიგნისკენ ვიხრებით. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის მოძიება დროის დაზოგვის მიზნით კომპიუტერით უფრო ადვილია, მაინც გვირჩევნია, რომ წიგნი ვიკითხოთ, უფრო მეტი გავიგოთ. რაც მთავარია, ყოველთვის ვთანხმდებით, რომ წიგნში ყველაფერი უკვე ასე თუ ისე დადასტურებული, დამტკიცებულია და ყალბ ინფორმაციას ნაკლებად გადავაწყდებით. მათ უკვე ძალიან კარგად იციან ორივე მათგანის ღირსებებიცა და ნაკლოვანებებიც. იმედი გვაქვს, რომ ისინი იაქტიურებენ და კვლავაც გეწვევიან. შეიმეცნებენ, ახალ წიგნებს აღმოაჩენენ და მეტად გაიღრმავებენ ცოდნას. იმედი გვაქვს, რომ ისინი არასდროს დაივიწყებენ წიგნის მადლს.“**

ბიბლიოთეკის თანამშრომელი **თინათინ ელაშვილი** მოსწავლეებს საგამოფენო სივრცის მოწყობის სპეციფიკაზე, მისი შექმნისა და მკითხველამდე მიტანის პროცესზე ესაუბრა. მან დეტალურად განიხილა თითოეული საგამოფენო კუთხე, მათი მიზნობრივობა და შინაარსი. ამის შემდგომ კი, ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, **თინათინ სულაშვილმა**, ის წიგნადი ფონდი დაათვალიერებინა სტუმრებს, სადაც მუშაობა, სწავლა, კვლევა-ძიება და ახლის შეცნობა ნებისმიერ დროს შეუძლიათ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოსწავლეების მხრიდან ანტიკური ისტორიისა და თანამედროვე ლიტერატურის კუთხეებმა. გამოითქვა სამომავლო ვიზიტისა და წიგნებთან მუშაობის სურვილიც.

ახალგაზრდობის მსოფლიო დღეს, თითოეულ ახალგაზრდას, ვუსურვებთ იყვნენ ენერგიულები, თავისუფლები, ლაღები, აქტიურები, მხიარულები, მუდამ ნათელი გულითა და პოზიტიური განწყობით. ახალგაზრდობა ხომ სიცოცხლის გარიჟრაჟია!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

# ილია ჭავჭავაძე 185

***ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 წელი გავიდა. „გამორჩეულია ილიას როლი XIX საუკუნის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმართვაში. „თერგდალეულების“ ლიტერატურული მიმდინარეობა სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ შეიქმნა. მისი თაოსნობით დაფუძნდა საქართველოს სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკი, პერიოდული გამოცემები „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მისი ღვაწლი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. თუმცა, ამჯერად, გვსურს იგი სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოგიდგინოთ, ილია, რომელსაც უყვარდა და ილია, რომელიც უყვარდათ.***

* * *

ილია ჭავჭავაძემ და ოლღა გურამიშვილმა ერთმანეთი 1863 წლის იანვარში გაიცნეს. მათი სიყვარულის ამბავი იმჟამინდელი საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი. ოლღას ძალიან შეძლებული მამა ჰყავდა. მისი მამულები ავჭალამდე ყოფილა გადაჭიმული. ილიას და ოლღას ჯვრისწერა საიდუმლოდ მოხდა 1863 წლის 10 აპრილს. ჯვრისწერის შემდეგ ოლღას მამა ავჭალაში დასახლდა, საგურამოს მამულები კი თავის ორ ქალიშვილს - ოლღას და ეკატერინეს დაუტოვა მზითვში.

ოლღას ძალიან უყვარდა ილია და სიცოცხლის ბოლომდე მხარში ედგა მას. გაცნობის მერე პირველი ინიციატივა ოლღას გამოუჩენია. მან თავისი მეგობრის, ნინო ორბელიანის (ყაფლანაშვილის) ხელით ილიას წერილი გაუგზავნა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო:

„მითხარით, — სად შევხვდეთ. დროის გამო ნუ სწუხდებით, დროს ყოველთვის მოვნახავ, ოლონდ ერთი დღით ადრე მაცნობეთ. ი. ჭ.“ (16 იანვარი, 1863 წ.) — ეს არის პირველი წერილი ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა დროს ოლღასათვის გაგზავნილი იმ 240-მდე წერილიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

**მოდით, რამდენიმე წერილი გავიხსენოთ:**

[18 იანვარი, 1863 წ.]

სადაც ნაბრძანები მქონდა ყოფნა, იქ ვიყავი, მაგრამ ვერავინ ვნახე, ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის ბრალია. მან ექვს საათზე გადმომცა წერილი, შვიდის თხუთმეტ წუთზე კი მე უკვე სიცივისაგან ვკანკალებდი ჭიშკართან. ორჯერ უნდა შევხვედროდით. მერმე ბძესთან გასათბობად მივედი, შემდეგ ისევ, თუ არა ვცდები, ათი წუთი ვიდექი გარეთ, კვლავ უშედეგოდ.

ხვალ შუადღისას, სრულ პირველ საათზე, ბძესთან მოვალ; ხომ შეიძლება გნახოთ, თუნდაც აივანზე? რომ არ გაიყინოთ. გაფრთხილებთ, სრულ პირველ საათზე ვიქნები. თუკი თქვენი ნახვა არ მოხერხდება, შეეცადეთ ყოველ შემთხვევისათვის დამანახვოთ ბარბარე, რომელსაც, როგორც გაგებული მაქვს, ყველაფერს ენდობით. რამეს რომ მივაღწიოთ, საჭიროა გავიცნო მისი ღირსეული ფიზიონომია. შეიწუხოს თავი და ინებოს ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიაროს ეზოში, უკანა კიბის მხარეს, - ალბათ ბედი მეწვევა და ველირსები ფანჯრიდან მის დანახვას.

მე მგონია, ხიფათში იგდებთ თავს, როცა პაემანს მინიშნავთ თქვენს სახლში, სადაც ასი თვალი გითვალთვალებს. მე ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო მინდა გესაუბროთ. მეშინია, ვაითუ სიჩქარით ყველაფრის თქმა ვერ მოვასწრო, თანაც თქვენვისაც მოუხერხებელი იქნება ყურის გდება, სადაც პატარა შარიშურმაც კი შესაძლოა შიში გამოიწვიოს და ყურადღება წაგართვათ. ყველაფერს აჯობებს შევხვდეთ სადმე სხვაგან, თქვენი სახლისგან მოშორებით, თუნდაც, მაგალითად, ტაძარში. მაგრამ, რასაკვირველია, ნება თქვენია, მიბრძანეთ, რასაც ინებებთ, მე ყველაფერს შევასრულებ. ოღონდ, გთხოვთ, ეს ერთი დაიმახსოვრეთ: არავის არ უთხრათ არაფერი, არავის ენდოთ, ადამიანნი ყოველთვის ბოროტნი არიან, ძნელად თუ ვინმემ დაფაროს საიდუმლო, მითუმეტეს ისეთი შინაარსისა, როგორიც თქვენია.

P. S. რაც უფრო ადრე ვნახავთ ერთმანეთს, მით უკეთესია, - ბევრი რამ მინდა გადმოგცეთ. დღესვე მიპასუხეთ ამ ნაჩქარევ წერილზე. გვარი მოაწერეთ, რისი გეშინიათ? ერთხელ თუკი მენდეთ, მაშინ სრულად და ბოლომდე მომენდევით.

გთხოვთ, წერილი დააბრუნოთ, მიზეზს, როცა შევხვდებით მაშინ აგიხსნით.

ი. ჭ.

***

[6 თებერვალი, ღამის სამი საათი, 1863 წ.]

ჩემო კარგო ოლიკო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები, მთელი დღე შენით ვსულდგმულობ. სტამბაშიცკი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ. ჩემთვის ის დღე რა დღეა, თუ შენი წერილით არ გამითენდა და შენი წერილითვე არ დამიღამდა. შენც იმდენ ყურადღებას იჩენ, რომ იშვიათად, ძალზე იშვიათად მითენდება მოსაწყენი დღე. მადლობას მოვახსენებ ამისათვის ჩემს ძვირფას ოლიკოს. იმედი მაქვს, მერმეც ასეთ ყურადღებას გამოიჩენ შენი ილიკოს მიმართ!

გიხარია, კახეთში გამგზავრებაზე უარს რომ ვამბობ? თუ მართლა გიხარია, იცი, ამ სიხარულს ვის უნდა უმადლოდე? შენს ბარბარეს. იმან მართლაც შემაშინა, მითხრა, რომ ჩემ გამგზავრებაზე ფიქრით თურმე შენ თავს აღარ ეკუთვნი, რომ მთელი დღე მოწყენილი ხარ, დარდობ, მიზეზიანობ, ბრაზობ, და ა. შ. ეს რომ აღარ გაგრძელდეს, მაშინვე გადავწყვიტე, თუნდაც კახეთში ყველაფერი ყირაზე დადგეს, აღარ გავემგზავრო. დავრჩები, რომ ჩემი გიჟი და მიზეზიანი ოლიკო დავამშვიდო. შენ, ჩემო მეგობარო, რაცა გსურს მიბრძანე, გეფიცები, შენი ილიკო ყველაფერს შენებურად გააკეთებს. რატომ არ ამიკრძალე გამგზავრება გუშინვე, როცა გამგზავრების ამბავი გითხარი? ეს არაა შენი მხრით კარგი, ეს ნიშნავს, შენ თითქოს ჩემი ხარ, ამასთანავე თითქოს ბოლომდე არა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგენიჭა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვაღიარე, შენი კი ჩემად. როგორც ამბობ ხოლმე, შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარ. მაშ რატომ არ უნდა უთხრა მეგობარს, რა გწყინს, რა გიხარია. არ იფიქრო, ოლიკო, თითქოს ვჯავრობდე. მე ისე კი არ მიყვარხარ და ისე კი არა გცემ პატივს, რომ ნება მივცე ჩემ თავს გაჯავრებისა. მაგრამ ცოტათი არ მესიამოვნა, შენ არ გინდოდა ჩემი გამგზავრება და არ კი მითხარი თითონვე გუშინ. ერთი გებრძანებინა და დაუნანებლად დავრჩებოდი, შეიძლება მხოლოდ ერთხელ ზედმეტად მეკოცნა ამისათვის.

ჭამის მადა კიდევ არა გაქვს? ნუ წუხარ, ჩემო კარგო, მეც არა მაქვს ჭამის მადა. ეს ჭეშმარიტად ერთ-ერთი აუცილებელი შედეგია სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა, როგორც შენი ექიმი გარწმუნებს. დიახ, ჩემო მეგობარო, მე და შენ დაავადებული ვართ ერთი სენით - სიყვარულით. აბა, იმ ექიმს სად შეუძლია მიხვდეს, თუ რა სენია ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებას უწოდებენ.

დე, იმან ისე იფიქროს, როგორც მოისურვებს, ჩვენ კი მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნას მივაწეროთ. ისინი, როგორცა ჩანს, ერთ არსებაში ვერა რიგდებიან. შენ როგორა ფიქრობ, ჩემო ჭკვიანო ქალო, რომელი სჯობია: მადა თუ სიყვარული? ხედავ, ჩემო მეგობარო, ერთი აუცილებლობა მეორეს როგორ გამორიცხავს, რომელი ვამჯობინოთ? მე წინასწარ ვგრძნობ შენს ღიმილსა და შენს პასუხს, ამ უცნაურ კითხვაზე,შენ გინდა მითხრა: სიყვარული სჯობიაო. იყავნ ნება შენი, ჩემო ანგელოზო!

შენი უკუნითი უკუნისამდე

**ილიკო ჭავჭავაძე**).

***

[20 თებერვალი, 1863 წ.]

ოლიკო! მე შევიტყვე, რომ ამ ჩემს წიგნსა შენს გარდა სხვა მკითხველიც ეყოლება, ამის გამო მე ბევრს არაფერს მოგწერ, თუმცა სათქმელი ბევრია. ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე, როგორცა ვხედავ, არ ვიცი შენ მოგწონს თუ არა ეს ჩვენი ყოფა? მე კი, სწორედ მოგახსენო, ვერაფრათ მეჭაშნიკა. მართლა, ქალო, კვირაში ორჯერ უნდა ვწეროთ ხოლმე და მეტი არა? ეგ ვერაფერი ხუმრობაა. შენი პორტრეტი გამოგზავნე. რამკა ვიყიდე კიდეც.

შენი **ილიკო ჭავჭავაძე.**

**P.S**. პასუხი მოიწერე.

***

დილის ხუთი საათი [28 თებერვალი, 1863 წ.]

შენი სულისა ოლიკოჯან! სად, როდის და საიდან შემამჩნიე გუშინ? ნუთუ ისეთი უბედური აღმოვჩნდი, რომ ხელიდან გაუშვი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანის ნახვის შესაძლებლობა!.. უცნაურია და გაუგებარი: საღამოს 5 საათამდე შინ ვიყავი: 5-ზე გამოვედი შენს სანახავად, მაგრამ საუბედუროდ შენ არსად ჩანდი. როდისღა დამინახე? მომწერე მაინტერესებს! რატომ გუშინდელ წერილს არ მიბრუნებ, ხომ არ მოგეწონა?

ოჰ, ოჰ, ოჰ! რა ძვირფას რამეებს მაფიცებ, რომ გიორგისთან გავემგზავრო. კეთილი, ჩემო ანგელოზო, მე მივალ, მაგრამ, მართალი გითხრა, წარმატების იმედი არა მაქვს, რადგან ჩემი ოფიციალური წინადადება მისთვის მეტად ცივი იქნება, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდება. თუკი იმდენად მოწყალე იქნება, რომ გაიგებს ღარიბი კაცის სიტყვას ხომ კარგი, თუ არა და, რაც ამას ცუდი მოჰყვება, ჩემს ანგელოზს დავაბრალებ, დე მან აგოს პასუხი საკუთარი თავის წინაშე. ვინ გეჩიჩინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე? ვინც ამას გეუბნება, იგი არ არის ჩვენდამი კეთილად განწყობილი. მთელი ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისურვებს ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონმა, ვეჭვობ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება ინდომოს. ასე რომ მოხდეს, დაუჯერებელი იქნება.

განა მარტო ის არის ასე განწყობილი? მთელი შენი ნათესაობა, ყველაზე ახლობლით დაწყებული და ყველაზე შორეულით გათავებული, ერთნაირად არიან თითქოს ელექტრონით დამუხტულნი ჩვენი საქმის საწინააღმდეგოდ. თუ ვინმე ახლა გეთანხმება, ეს იმას არ ნიშნავს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თითქოს მაშინაც დაგეთანხმონ: ისინი აუცილებლობასა და, წარმოიდგინე, შენს ენერგიას ემორჩილებიან, რადგან იმედი აქვთ, თავზე დაგახვევენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას, და ყოვლის მომსპობი დროისა და შენს ირგვლივ მოფუსფუსეთა მოქნილი ოსტატობის წყალობით, თანდათან მოიშორებ ჩემით გატაცებას, მერე საბოლოოდ ამოიგდებ გულიდან ამ სისულელეს, ე.ი. მე. მერწმუნე, არც ერთი, რომელიც თქვენი ნათესაობის დიდი ჯაჭვის თუნდაც უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს, არ მოქმედობს წრფელად და პატიოსნად, როგორცა ფიქრობ. გატყუებენ, არ გეწინააღმდეგებიან ამჟამად, დროს უცდიან, რომ უფრო ადვილად მიაღწიონ მიზანს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შენ თანდათან განელდე და დაივიწყო ეს საქმე, რასაც ახლა ასე მხურვალედ ეკიდები. მართალია, ზოგიერთ შენ ახლობელს იმიტომ უნდა ამ საქმის ჩაშლა, რომ შენთვის ბედნიერება სურს, რადგან დარწმუნებულნი არიან, ჩემთან უბედური იქნები, ე. ი. არც სიმდიდრე და არც წარჩინება გექნება. სხვებს ეს ზნეობრივი მამოძრავებელი მიზეზიც არა აქვთ, მათ ამოძრავებს მხოლოდ ტრფიალი ხელოვნებისა ავნონ მოყვასთ. აი, ესენი არიან ზიზღის ღირსნი. შენ მეტისმეტად კეთილი ხარ, ჩემო ანგელოზო, რომ შეამჩნიო ეს ოსტატურად დაგებული მახეები, მე კი, საუბედუროდ, არ შემიძლია ეს დავიკვეხო: მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ენა შენთა ნათესავთა ერთს ამბობს, ხოლო მათი გული სხვა რამეს უკარნახებს. ეს მეტად სამწუხარო ჭეშმარიტებაა, და მე ძალზე არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ? სჯობია იცოდე სამწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასიხარულო სიცრუე. მგონი, არა ვცდები.

შენი ახლობლების ეს დაგებული მახეები ჩემს წინათგრძნობას აკრთობენ და უბედურებას უქადიან. მაგრამ არა უშავს რა, რაც მოსახდენია, მოხდეს! მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შემარყიოს, მაგრამ რომ წამაქციოს, ვერასოდეს! ჩემ წინ დიდი გზაა გაშლილი, თუ ამ გზაზე არ მეღირსა ჩემ რჩეულთან ერთად გავიარო, ე. ი. თუ ოლიკომ გადაიფიქრა ჩემთან ერთად დაადგეს ამ გზას, რაც ღმერთმა ნუ ქნას! მაშინ, ყველაფრის დამკარგველს, დამრჩება ერთი იმედი ვიცხოვრო იმ წმიდათაწმიდა მიზნისათვის, რომელიც მე დიდი ხანია ავირჩიე. ერთი სიტყვით, მექნება ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დავიტირებ, სუნთქვის საშუალება შემრჩება.



ეს მძიმე ფიქრები უკვე სამი დღეა უწესრიგოდ ირევიან ჩემ სულელ თავში და ახლა ასევე უწესრიგოდ დალაგდნენ ქაღალდზე. ძალა არ მყოფნის, გადავიკითხო და ხელახლად დავუბრუნდე ამ ფიქრებს, რომლებიც მინდა რაც შეიძლება მალე მოვიშორო თავიდან.

როდესაც წერას ვიწყებდი, მეგონა, ეს ფიქრები გამეფანტებოდა. როგორც ხედავ, ამ სტრიქონებშიაც ჩამოწვნენ ისინი ნისლად, თუმცა შესაძლოა არა ისეთი სიხშირით, და მგონი მათ მაინც შერჩათ ის განწყობილება, რომელიც ჰქონდათ მათ შენი ილიკოს მტკივან გულში. დიახ, ეს სამი დღეა რაღაც მაწვება მძიმედ! ღმერთმა ჰქნას, რომ მხოლოდ ამით დასრულდეს!

ფიზიოლოგები, ჩემო ანგელოზო, ამბობენ, ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, მას გიჟი ეწოდებაო. თუ ეს სიმართლეა, მაშინ მეც გავგიჟებულვარ და ეგ არის, რადგან ყოველ წუთს შენითა ვარ გართული და შენზე ვფიქრობ. წინ რა მომელის არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი რამ, სულით მოვისწრაფი შენდამი, რომ მოგეხვიო და კოცნით დაგფარო.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აი უკვე მეორედ დაათენდა შენი წერილის წერაში საუკუნოდ შენს

**ილიკო ჭავჭავაძეს.**

პ.ს „ილია ჭავჭავაძე რომ მოკლეს, მასთან ერთად უმოწყალოდ სცემეს მისი მეუღლე - ოლღა გურამიშვილი, რომელიც ქართველებისგან სასიკვდილოდ განწირულ მეუღლეს, წიწამურთან, შემდეგი სიტყვებით გადაეფარა:

„კაცს ნუ მომიკლავთ, მე მომკალით თქვე ურჯულოებო! - ეს ქვეყანას სჭირდება.“

ოთხი თვის შემდეგ გამოვიდა საავადმყოფოდან ოლღა.

მას არც გაუხედავს საგურამოსკენ და არც თბილისის ბინისკენ, ისე ჩააბარა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, თვითონ კი მთაწმინდის უბანში „ილიასთან ახლოს“ პატარა ბინაში შეიყუჟა.

ეს ის ოლღა იყო, რომლის ხასიათით, ღირსებით და მორალით აღფრთოვანებული და გაოცებული ლევ ტოლსტოი წერდა: „მაშინ, როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი, ყოველ ნაბიჯზე გაისმის მოჰკალ, ჩამოახრჩე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც, იგი მხეცურად სცემეს და დაჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო.

აქამდე ვიცოდით, ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან რომ ამოდის. ახლა უნდა დავსძინოთ და ვთქვათ, რომ ზნეობრივმა მზემ საქართველოდან ამოაშუქა.“

ოლღა ყოველდღე დადიოდა ილიას საფლავზე, სანთლებს უნთებდა და ლოცულობდა, მთაწმინდაზე ბინა იქირავა და იქ დასახლდა, ქმართან ახლოს რომ ყოფილიყო. საფლავზე ხშირად ხედავდნენ შავით მოსილ მოხუც ქალს, რომელიც ხალხს ევედრებოდა - სანთელი დაუნთეთ ილიას, ვითომც ტაძარი აგიგიათო. არავინ იცოდა, რომ ეს ოლღა იყო. მას მაშინაც ვერ ცნობდნენ, ლუკმა - პურისთვის ბაზრობაზე დიდი მწერლის წიგნებს რომ ყიდდა... როცა საფლავზე სიარული აღარ შეეძლო, აივნის მოაჯირთან სანთლით ხელში დგებოდა, მთაწმინდას გაჰყურებდა და ჩურჩულებდა - „მოვდივარ, ილია, მოვდივარ!“



**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# თემურ ხუნაშვილის კიდევ ერთი აღიარება

**ზემო მაჩხაანელ მსახიობსა და რეჟისორს, თელავის თეატრის დამსახურებულ არტისტს თემურ ხუნაშვილს თელავის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. დაჯილდოების ცერემონია ქალაქ თელავში, „ერეკლეობაზე“ გამართული ღონისძიებების ფარგლებში შედგა, რომელიც ერეკლე მეფის სასახლის ეზოში ჩატარდა. მსახიობს ჯილდო თელავის მერმა ლევან ანდრიაშვილმა თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის განვითარებაში შეტანილი მრავალწლიანი განსაკუთრებული წვლილისთვის გადასცა. რამდენიმე წლის წინ თელავის თეატრთან თემურ ხუნაშვილის სახელობითი ვარსკვლავიც გაიხსნა**

1949 წელს ქვემო ბოდბეში დაიბადა, შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში გაიზარდა და აქვე დაამთავრა ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა. მისი პირველი სასცენო ნაბიჯებიც დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე შედგა. ამდენად, როგორც თავად ამბობს, განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ზემო მაჩხაანთან. მისივე თქმით, პროფესიულ არჩევანში ზემო მაჩხაანის გეოგრაფიის პედაგოგებს აქვთ წვლილი.

**თემურ ხუნაშვილი:** „სასკოლო ოლიმპიადა ტარდებოდა 1964 წელს, მეცხრე კლასში ვიყავი, როცა პირველი გამოსვლა მხატვრული კითხვით სწორედ წითელწყაროს კულტურის სახლის სცენაზე შედგა. რომ გამოვედი არავინ მისმენდა, მაგრამ როცა დავიწყე, მალევე დარბაზი გაირინდა, იქიდან რომ გამოვედი უკვე ვიცოდი ცხოვრებაში რა გზას უნდა დავდგომოდი. მაშინდელი ჩემი პედაგოგების, ომარ კორაშვილისა და მიშა სეხნიაშვილის წვლილიც დიდია. შემდეგ თეატრალური უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მოზარდმაყურებელთა თეატრში გამანაწილეს, მაგრამ თელავის თეატრს მოვწონდი და მთხოვეს დროებით გადმოვსულიყავი კახეთში. მას შემდეგ აღარც მიფიქრია თელავის დატოვება.“



***„შირაქი“ ზემო მაჩხაანში თემურ ხუნაშვილის თაობას შეხვდა და მათ მსახიობის ბავშვობის წლების გახსენება სთხოვა. როგორც მისი მეზობლები და თანაკლასელები „შირაქთან“ იხსენებენ, თემური არტისტიზმითა და ლიდერული თვისებებით ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა და მუდმივად აქტიურობდა. ამდენად, მათ მისი წარმატებების იმედი ყოველთვის ჰქონდათ.***

მაყვალა მაძღარაშვილი: „თემურ ხუნაშვილი ჩვენი ახლო მეზობელი იყო, იმხანად, უბანში ტელევიზორი მხოლოდ მათ ჰქონდათ და საღამოობით დიდი და პატარა ყველა მათ სახლში ვიკრიბებოდით. დედამისი, ქეთო ძალო სათნო და საყვარელი ქალბატონი იყო. თემური ისეთი ლაღი ბიჭი იყო, მე მასზე ცოტა პატარა ვარ და კარგად მახსოვს, ცოტა უფროსი ასაკის გოგონები, თითქმის ყველა მასზე შეყვარებული იყო. ძალიან საყვარელი ბავშვი იყო, ზემო მაჩხაანში დიდს და პატარას ყველას უყვარდა. სოფელში გოგონები გიჟდებოდნენ. ბევრი მიდაქალდებოდა, რომ ჩემგან თემური გაეცნოთ. ბავშვობიდანვე არტისტული იყო და ლიდერის თვისებებით გამორჩეული. უბანში ბავშვებს შეგვკრეფდა და კონცერტებს გვატარებინებდა. მთელი ბავშობა ასე გავატარეთ. აკორდეონზე უკრავდა და მღეროდა, ჩვენც გვამღერებდა. წლების შემდეგ თელავში ხშირად ვესწრებოდი მის სპექტაკლებს და ვამაყობდი, რომ ის ჩემი ახლობელი იყო“.

ოთარ ნადირაშვილი: „ძალიან უყვარდა ქეიფი, პარალელურ კლასებში ვსწავლობდით, მაგრამ ხშირად ვქეიფობდით. კარგად უკრავდა გარმონზე, მღეროდა, მასთან გატარებული ყველა დღე მახსოვს. მე და ზურა კი დოლს ვუკრავდით. კლასელებს უფრო მეტი მოსაგონარი ექნებათ, პატარა ბიჭები ვიყავით, გვიხაროდა დროსტარება და ერთმანეთთან ურთიერთობა. მიხარია, რომ ეს გზა აირჩია და ასეთი წარმატებული გახდა. ვულოცავ კიდევ ერთ დამსახურებულ ჯილდოს“.

# ლადო ათანელმა პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მოულოდნელად დატოვა

**ლადო ათანელმა პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ საკუთარი სურვილით დატოვა. ის აუტსაიდერი არ ყოფილა, თუმცა ამ ნაბიჯით მან შემდეგ ტურში ორივე წყვილი გადაიყვანა. ცნობილმა დედოფლისწყაროელმა საოპერო მომღერალმა შოუში განაცხადა, რომ წინასწარ დაგეგმილი ტურნეები აქვს ჩანიშნული და კარგი იქნება გზა ახალგაზრდებს დაუთმოს**

ლადო ათანელი (**მსოფლიო ბარიტონი**): „ტელეკომპანია „იმედიდან“ ნოე სულაბერიძის პირველივე შემოთავაზებაზე დავფიქრდი, როგორ შევძლებდი და მე რატომ მთხოვეს. ვუპასუხე, რომ მოვსინჯავდი და თუ ესთეტიური იქნებოდა, მივიღებდი მონაწილეობას. როცა მივედი და რეპეტიციაზე ვცადე, უკმაყოფილო ვიყავი. უარს ვამბობდი, მაგრამ მეწყვილემ დამარწმუნა, რომ დავრჩენილიყავი. პირველმა შოუმ კარგად ჩაიარა.



მეორე კვირას კონცერტისთვის რომ ვემზადებოდით, რეპეტიციებზე თავბრუსხვევა მქონდა და ტრიალს ისე სწრაფად ვერ ვაკეთებდი, როგორც საჭიროა. შოუს დასაწყისში, წამყვანებმა ეთერშიც თქვეს, რომ თავბრუსხვევა ხელს მიშლიდა.

მანანა ჩიქოვანი (**მეუღლე**): „მეგონა უარს იტყოდა, მაგრამ რომ გამოაცხადა რეპეტიციაზე მივდივარო, გამიკვირდა. ცეკვა არ იცი, როგორ დათანხმდი მეთქი. თავდაჯერებული ამბობდა - ვისწავლიო!. სიმღერას წლები ამზადებ და 10 დღეში როგორ უნდა ისწავლო-მეთქი. პირველი ცეკვა კარგად გამოუვიდა, არაფერი შეშლია და ამით დაამტკიცა, რომ ცეკვაც შეუძლია. თუკი რამეს ხელს მოკიდებს, ყველაფერს შეძლებს, მრავალმხრივ ნიჭიერია. ცეკვას რომ ვუყურებდი, სიმართლე ვთქვა, ასე არც „ლა სკალას“, არც „მეტროპოლიტენ ოპერის“ სცენაზე გამოსვლის დროს არ მინერვიულია“. რაინდული გადაწყვეტილება იყო, რომ დროზე ადრე, საკუთარი სურვილით დატოვა და ამით ორივე წყვილი გადავიდა შემდეგ ტურში“...

# მიიღო თუ არა „ნიჭიერის“ გამარჯვებულმა ბინა ბათუმში?

**გასულ წლებში პოპულარულ სატელევიზიო კონკურსებში გამარჯვებული სახეები ხშირად წერდნენ, რომ პროექტის ორგანიზატორებმა მთავარი პრიზის გადაცემა დაუგვიანეს, ან საჩუქარი არასრულყოფილი იყო და უკმაყოფილებას ღიად გამოხატავდნენ. ეს მწვავე განცხადებების საფუძველი რამდენჯერმე გახდა. ამიტომ, გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, მიიღო თუ არა პროექტ „ნიჭიერის“ წლევანდელმა გამარჯვებულმა დედოფლისწყაროელმა დავით ლეკაშვილმა ახალი ბინა ბათუმში და რამდენად კმაყოფილია მთავარი პრიზით.**

დავით ლეკაშვილი: „პროექტში გამარჯვებიდან ოთხი თვის შემდეგ გადმოვიფორმე და ზაფხულში, ივნისის თვეში ქალაქ ბათუმში ბინა გადმომეცა. ჩემს შემთხვევაში ამ მხრივ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და შეფერხებები არ მქონია. 50 კვადრატული ფართია , ორ ოთახიანი.



თეთრი კარკასია, შესაბამისად გარემონტებული არ არის. მაღალსართულიანი ახალი კორპუსის მეცხრე სართულზე ვარ. წელს ოჯახმა ზღვაზე დავისვენეთ, მაგრამ ამ ბინით არ გვისარგებლია. ჩემს მეუღლეს აქვს ქობულეთში სხვა ბინა და 10 დღით იქ ვიყავით. ჯერ ვერ მოვახერხე ახალ ბინაში რემონტი დამეწყო, მაგრამ გაზაფხულზე გავარემონტებ, რომ მომავალ წელს ზღვის სეზონის დაწყებამდე მზად იყოს. ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ სავარაუდოდ, გავაქირავებ. ჩვენ კი, თუ დასვენებას დავაპირებთ, ალბათ ისევ ქობულეთში წავალთ . სიმართლე გითხრათ, არასოდეს მიოცნებია ბინა მქონოდა ზღვისპირა ქალაქში, ან დედაქალაქში. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ მთავარი პრიზი საოცნებო იყო ჩემთვის. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ საჩუქრით და გამარჯვებამ გამაბედნიერა. მადლობელი ვარ უფლის, რომ ასე მოხდა, თუმცა, მე თუ მკითხავთ, მერჩივნა ბინის ნაცვლად ტრაქტორი ეჩუქებინათ. „ნიჭიერში“ გამარჯვება პრიზის გამო არ გამხარებია, ბედნიერი ვიყავი ჩემი სახელის გამოცხადებისა და ხალხის დიდი მხარდაჭერის გამო. დამიჯერეთ, ამ დროს პრიზები ნაკლებად გახსოვს. ჩემს ოჯახში ზღვაც თანაბრად გვიყვარს და მთაში დასვენებაც, ამიტომ ზღვას პირველ ადგილზე ვერ დავაყენებთ. არც ის მიფიქრია, რომ ეს ბინა გამეყიდა და თბილისში მეყიდა. როცა სახლ-კარი დედოფლისწყაროში მაქვს, ოჯახი აქ მყავს, თავს ყველანაირად კარგად ვგრძნობ, არ მგონია ასეთ სიტუაციაში სხვა ქალაქში ზედმეტი ბინა საოცნებო იყოს. თუმცა, როგორც სოლიდური საჩუქარი და პროექტის მთავარი პრიზი, ცხადია სასიამოვნოა.

პროექტში გამარჯვების შემდეგ იყო სხვა შემოთავაზებებიც, მაგრამ ისეთი არაფერი, რომ ჩემს ცხოვრებას მორგებოდა და დავთანხმებულიყავი. სხვა პოპულარობას ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეუცვლია, გარდა იმისა, რომ პერიოდულად, რუსთავი 2-ის სხვადასხვა გადაცე-




მის ჟურნალისტები ჩამოდიან ჩემთან, სოფელ სამრეკლოში სტუმრად. არც ცხოვრების სტილი შემიცვლია. მთავარია ის იყო, როგორ ადამიანადაც მშობლებმა გაგზარდეს. ვფიქრობ, პოპულარულობას ბევრად სჯობია ღმერთთან ახლოს ყოფნა.

წყალმომარაგების კომპანიაში უკვე რამდენიმე თვეა აღარ ვმუშაობ. ეს ნაწილობრივ ჩემი მიზეზითაა, ნაწილობრივ კომპანიის. ბოლო დროს დისკომფორტი შეიქმნა და სამსახური დავტოვე, შესაბამისად, იმ ჩემს პოპულარულ ტრაქტორსაც, რითიც „ნიჭიერში“ წავედი, ახლა სხვა ადამიანი მართავს. მე კი ჩემს პირად ტრაქტორს ვამუშავებ, როცა საქმეა. სხვა სამსახურეობრივ დეტალებზე ღიად ვერ ვისაუბრებ.

**გვერდი მოამზადა**

**ილია მარტყოფლიშვილმა**

# თანამედროვე რეკეტი თუ „ბაჟი“ ახლებურად?!

***„გასავლელი 350 მეტრი ჩაგვიხერგეს და ითხოვენ ცხვრებით გადახდას, ეს ხომ რეკეტია?“ — ამის შესახებ მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს. მისი თქმით, მეცხვარეები მთავრობისგან ცხვრის გადასარეკი ტრასის საკითხის მოგვარებას ითხოვენ.***

გონაშვილის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„დღეს, მეცხვარეები მივმართავთ მთავრობას და ვთხოვთ, სასწრაფო წესით მოგვარდეს ცხვრის გადასარეკი ტრასის პრობლემა, ეს რაც ხდება ამ 1 კვირის განმავლობაში რუსთავთან, უბრალოდ სირცხვილია. სირცხვილი ისაა, რომ 2010 წლიდან მოყოლებული დგას პრობლემა. როცა ცხვრის ტრასის რეგისტრაცია დავიწყეთ 2010 წელს, 2011 წელს მაშინდელი ხელისუფლების მოთხოვნით შეიცვალა ტრასამ მიმართულება და როგორც დღევანდელი ავტობანის ქვეშ გადავკვეთავთ გზას, უნდა ავიდეთ პირდაპირ „რუსთავის ჯვართან“ და ისე გადავიდეთ იალღუჯაზე, რადგან ძველი ტრასა უშლიდა დღევანდელი ავტობაზრობის მოწყობას და ინფრასტრუქტურას, ჩვენც დავყაბულდით, მიუხედავად იმისა, რომ გზა გავირთულეთ, 200 ჰექტრამდე დასასვენებელი მოედანი დავკარგეთ და ასევე დავკარგეთ დასაწყურებელი, რომელიც იქ გზაზე გხვდებოდა.

მაშინვე ვითხოვდით, აი ამ ახალ გზაზე რომ გაგვიშვით, იქნება და მიწის ნაკვეთები რაც არის, დაელაპარაკეთ ამ ხალხს და მოვუნაცვლოთ-თქო, იმ 200 ჰექტრიდან თუნდაც. და პრობლემა არ იქნებოდა! ახლა კი დადგა პრობლემა! გასავლელი 350 მეტრი ჩაგვიხერგეს და არ გვატარებენ, მეტიც, ითხოვენ ცხვრებით გადახდას, იქვეა „ლურჯი“ მარშუტკით ვაჭრები, რომლებიც შესვამენ ამ „ანაბრებულ“ ცხვარს მეცხვარეებიდან და ჰყიდიან.

კერძო მიწაა, კერძო საკუთრებაა და მართალია, მაგრამ კითხვა მაქვს, ეს ხომ რეკეტია? როცა შენ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევი (გატარებაში ითხოვ თანხას, ცხვარს) და ამისთვის არანაირ ფისკალურ დოკუმენტს (ჩეკი, ჩგდ, ჩარიცხვა) არ ქმნი. თანაც სამწუხაროდ, მადა ძალიან დიდი აქვთ, 2 დან 5 ცხვარმდე ფარაზე. 350 მეტრის გავლაში. უბრალოდ გავლაში.

დღეს მქონდა შეხვედრა ბატონ ოთარ შამუგიასთან, გელა ხანიშვილთან და გიორგი მიშელაძესთან ჩვენს პრობლემაზე. გავაცანი პრობლემები დეტალურად და უკვე დღესვე შევხვდი ქონების მართვის სააგენტოს, საკმაოდ ოპერატიულად დავგეგმეთ სამოქმედო გეგმა და ვფიქრობ, კვირის ბოლომდე ადგილზე შესწავლას (ალტერნატივის გამოძებნის ჩათვლით) დავასრულებთ.



რაც შეეხება უფრო დიდ სამუშაოს, მთლიან ტრასაზე არსებულ გადაფარვებთან დაკავშირებით ნოემბრის ბოლოს შევიკრიბებით კომისიური წესით დაიმედი გვაქვს, მომავალი წლის სეზონამდე დასრულდება!

დღეს მივმართეთ საქართველოს მთავრობას, წერილიც გვაქვს და გვაქვს ხელმოწერებიც, იმ ფერმერების, ვინც დღეს იქ ადგილზე შეეჩეხნენ ამ პრობლემას, თუმცა ყველა ის ფერმერი, ვისაც გადაახდევინეს თუ სხვა მხრივ შეფერხება შეუქმნეს, ყველა მზად არის უახლოეს დღეებში ჩამოვიდეთ თბილისში და გავაპროტესტოთ ჩვენი უფლებების ხელყოფა.

აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო პირადად ქვემო ქართლის გუბერნატორს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აგვერიდებინა თავი ამ გზის გადამკეტავებისთვის და მოიპოვა უფლება, რათა რუსთავის ავტოდრომით გვესარგებლა.

მოვუწოდებ ეკონმიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს სასწრაფო წესით დაგვეხმარეთ, წელს ძალიან ცუდი წელია, უბალახობაა და ჯერ მეცხვარეების ნაწილი კიდევ მთაშია, ან ახალი დაძრულია, რათა ბარის საძოვრებს მოფრთხილებოდნენ და ძირითადი მასა ახლა გამოივლის, დღეში დაახლოებით 20-30 ფარა, თავისი მსხვილფეხა საქონლით… გთხოვთ, ამჯერად მაინც არ გადავდოთ მთლიანად პირუტყვის გადასარეკი ტრასის მოგვარების საკითხი და ერთხელ და სამუდამოდ გავიდეთ ბოლოში, ვიცოდეთ, ვისი რა არის და იყოს ადვილად გარჩევადი დემარკაციით გამიჯნული,“- წერს გონაშვილი.

**მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# უფრო იაფი, ვიდრე დღეს –
## რა სარგებელს მიიღებს მოსახლეობა ახალი ენერგოპროექტებიდან

***ქვეყანაში ენერგოსექტორის განვითარება იგეგმება. კერძოდ, მთავრობა სულ მალე ენეგოპროექტების მხარდაჭერის გეგმას წარადგენს, რომელიც მომდევნო 3 წლის განმავლობაში ჯამში, 1500 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას ითვალისწინებს.***

რას გულისხმობს მთავრობის ინიციატივა და რა სარგებლის მოტანა შეუძლია ახალ პროექტებს მოსახლეობისთვის, ენერგეტიკოსმა გია არაბიძემ რადიო „პალიტრის“ გადაცემაში „საქმე“ ისაუბრა.

როგორც მან განმარტა, ახალი მიდგომით, დროის გარკვეულ პერიოდებში, ინვესტორებს ფასთა სხვაობას ბიუჯეტი დაუფარავს, რაც მათთვის გარანტიებს აჩენს. შესაბამისად, სექტორში ინვესტიციებს მოიზიდავს.

რაც შეეხება მოსახლეობისთვის სარგებელს, როგორც გია ბარამიძე ამბობს, ერთი ვარიანტით, ენერგო მომარაგების უსაფრთხოების ხარისხი უფრო მაღალ რეგისტრში ავა, მეორე ვარიანტით კი, ელექტროენერგია იქნება უფრო იაფი, ვიდრე დღეს.

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“-, თუ ამ იდეოლოგიით ვისარგებლებთ, ძალიან დროული იყო ამ განცხადების გაკეთება. მოდით, მთავარი მიზეზი ვთქვათ, რატომ მოვედით აქამდე. ალბათ, გახსოვთ, წლების წინ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ინვესტირებადი დარგი ენერგეტიკა გახლდათ და მაშინ, როდესაც სამხრეთკავკასიური გაზსადენის რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობდა, შემოსული ინვესტიციების სადღაც 60-65% ენერგეტიკის დარგზე მოდიოდა. და, ინვესტორებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გახლდათ. ჩვენ მაშინ გვქონდა ასეთი დებულება, რომ ინვესტორს ვაძლევდით გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას. ამასთან დაკავშირებით, შემდგომ გარკვეული პრობლემები შეიქმნა, განსაკუთრებით, სავალუტო ფონდთან, ბიუჯეტს აწვება და ა.შ. და ეს ამოვიღეთ დღის წესრიგიდან. თუმცა, გარკვეული პრობლემები მაინც შეიქმნა. იმიტომ, რომ ზოგიერთს უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები, ჰქონდათ ჩადებული ეს მონაცემები და ახალი ინვესტორების რაოდენობამ საკმაოდ სერიოზულად იკლო.

შემდეგ შემოვიდა წახალისების გარკვეული ფორმა, თუ გახსოვთ, 5 მეგავატამდე 1,5 ცენტის დამატება და ა.შ. როგორც ჩანს, ამანაც სერიოზულად არ იმუშავა.

აქ უნდა დაგვეცვა ჩვენ ორი შუალედი, ერთი ინვესტორი, მეორე, ბიუჯეტი. თუ ადრე, დავუშვათ, გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულებაში სიმძიმე ბიუჯეტზე გადადიოდა, ახლა საუბარია მხოლოდ ფასთა სხვაობის დაფარვაზე. ეს დოკუმენტი, ჯერ არ არის კითხვადი, მალე გამოვა და უფრო დეტალებში ვნახავთ. ზოგადად რომ ვთქვათ, ასეთი სიტუაციაა: ჰიდროელექტროსადგურებისთვის სახელმწიფო იღებს გარანტიას თავის თავზე, რომ წელიწადში 8 თვის განმავლობაში ფასთა სხვაობას დაფარავს, ქარის ენერგიისთვის - 10 თვის განმავლობაში, ხოლო, მზის ენერგიის შემთხვევაში, მთელი 12 თვის განმავლობაში. ანუ, აქ არის ისეთი მომენტი, რომ ინვესტორისთვის სასარგებლოა და ბიუჯეტისთვის არ არის ისე მძიმედ შესასრულებელი, როგორიც იყო წინა ხელშეკრულება. ეს შუალედი მოიძებნა და ვფიქრობ, იმუშავებს.

მოსახლეობისთვის ეს იქნება მნიშვნელოვანი, ერთი ვარიანტით, მისი ენერგო მომარაგების უსაფრთხოება ავა უფრო მაღალ რეგისტრში, მეორე, ჩვენ თუ მაქსიმალურად შევეცდებით, მოხმარებასა და გენერაციას შორის სხვაობის მინიმალიზაციას, ამ შემთხვევაში, უკვე საუბარი გვექნება, რომ შესაძლებელია ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი (გნებავთ გაზის) იყოს უფრო უკეთესი, ვიდრე დღეს. რასაკვირველია უფრო იაფი“,- განაცხადა გია არაბიძემ.

# რა იცვლება ბიზნესისთვის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმატში

***ბიზნეს სექტორისთვის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმების გამარტივების გადაწყვეტილება ჯანდაცვის სამინისტრომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ინიციატივით, შრომის ინსპექციისა და ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით, ბიზნეს გაერთიანებებსა და პროფკავშირებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო.***

როგორც საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში აცხადებენ, განახლებული შრომის კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ, კომპანიებთან მჭიდრო კომუნიკაციის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე, განსაკუთრებით პრობლემური საკითხი, რომელთა შორის ერთ-ერთი სწორედ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის მოუქნელობა და სირთულე იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის გარშემო გაიმართა კონსულტაციები ჯანდაცვის სამინისტროსა და შრომის ინსპექციასთან, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებთან, საკითხის გადაწყვეტაში ასევე ჩაერთო ინვესტორთა საბჭო, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

შედეგად, ცვლილებები განხორციელდება შესაბამის ნორმატიულ აქტში, რის საფუძველზეც სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმების წარმოება მაქსიმალურად გამარტივდება. აღსანიშნავია, რომ სავალდებულოდ შესავსები გრაფები პრაქტიკულად განახევრდება და დისტანციურად ნამუშევარი დროის ცალკე აღრიცხვა სავალდებულო აღარ იქნება.

ასევე, საწარმოებში, სადაც სამუშაო განრიგი დაკავშირებულია ცვლებთან, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება შესაძლებელი გახდება ცალკე, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ფორმის წარმოებისას აღარ იქნება აუცილებელი დასაქმებულის სამუშაოზე არგამოცხადების მიზეზების შესახებ ჩანაწერების ფორმაში ასახვა. ასევე საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ პროექტი პირდაპირ ითვალისწინებს სამუშაო დროის ელექტრონულად აღრიცხვის და შესაბამისი მონაცემების ასევე ელექტრონულად შენახვის შესაძლებლობას.

„ბიზნესისთვის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმების გამარტივება, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ბიზნეს სექტორს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. მოხარულნი ვართ, რომ ზემოხსენებულ საკითხებზე თანამშრომლობა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, სოციალურ პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შედეგიანი გამოდგა, ვინაიდან ბიზნეს სექტორისთვის ბიუროკრატიული პროცედურების შემსუბუქება ხელს შეუწყობს მის ეფექტიან ოპერირებას“ - განაცხადა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ.

# მოქალაქეები კერძო საპენსიო სქემებში ნებაყოფლობით გაწევრიანებას შეძლებენ

***ევროპასთან ინტეგრაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ კანონპროექტზე იმსჯელეს.***

მომხსენებლის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსის გიორგი გურგენიძის განმარტებით, საქართველოს ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცემა, გაწევრიანდეს ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში ან თავად დააფუძნონ ის.

ამგვარი უფლება ენიჭება სუბიექტთა ფართო სპექტრს, მათ შორის, დამსაქმებლებს, დამსაქმებელთა გაერთიანებებს, დასაქმებულთა გაერთიანებებს, პროფესიულ ორგანიზაციებს. ასევე, ნებისმიერ პირს უფლება ენიჭება გაწევრიანდეს ინდივიდუალურ საპენსიო სქემებში, დასაქმებისაგან დამოუკიდებლად.

კანონპროექტი რამდენიმე საპენსიო სქემაში გაწევრიანების საშუალებას იძლევა.

„კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს სადაზღვევო სექტორისა და აქტივების მმართველი კომპანიების ბაზრის განვითარებას, რადგან მათ გაუჩნდებათ დამატებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული ბაზრების განვითარება კი თავის მხრივ გაზრდის კონკურენციას, რაც საბოლოოდ ქვეყანაში ეფექტური ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის ამოქმედებასა და დანერგვაში აისახება“, - განაცხადა გურგენიძემ.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, დაიხვეწება ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა და იგი ევროკავშირში მოქმედ პრინციპებსა და ჩარჩოს დაუახლოვდება. მისივე თქმით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობის პირობებში, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზარი საქართველოს მოქალაქეებისათვის უფრო მიმზიდველი და სანდო გახდება.

„ამგვარი წესების გაჩენით, მოცული იქნება სუბიექტების ყველა კატეგორია და ყველას გაუჩნდება გრძელვადიანი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირება წარმოადგენს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების შესაძლებლობას, რადგან აკუმულირებული თანხების ინვესტირება შესაძლებელი იქნება სწორედ ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანად, რაც აისახება უფრო ეფექტურ კაპიტალის ალოკაციაში და თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა“, - განაცხადა გურგენიძემ.

კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს.

# ძიუდოს ტრადიციული ტურნირი

**2022 წლის 5 ნოემბერს დედოფლისწყაროში ჩატარდა ქართული ძიუდოს პატრიარქად წოდებული ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი. ტურნირს ესწრებოდნენ ბიძინა მაზიაშვილის ახლობლები, აღზრდილები და გულშემატკივრები. გაიხსენეს მისი დიდი ღვაწლი ქართული ჭიდაობის განვითარებაში. ტურნირმა მაღალორგანიზებულად ჩაიარა.**

როგორც გაზეთ „შირაქს“ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციიდან აცნობეს, პაექრობა შემდეგი შედეგით დასრულდა.

**50 კგ**

I ადგილი - ლუკა ომანაძე (ცაგერი)
II ადგილი - ვანო ბუზალაძე (ლაგოდეხი)
III ადგილი - თენგო ბაშარული (დედ/წყარო)

**55კგ**

I ადგილი - გიორგი ცისკარიშვილი (ყვარელი)
II ადგილი - ნიკა ლუზარაული (ახმეტა)
III ადგილი - მამუკა ჩხეტიანი (თბილისი)

**60 კგ**

I ადგილი - ნიკა ბერიაშვილი (თბილისი)
II ადგილი - ნიკა ჩოლოგაური (ლაგოდეხი)
III ადგილი - რატი იმერლიშვილი (ახმეტა)

**66 კგ**

I ადგილი - ბექა ნათელაშვილი (დედ/წყარო)
II ადგილი - მიშიკო კვირტიძე (დედ/წყარო)
III ადგილი - ალექსი ბარბაქაძე (თბილისი)

**+66 კგ**

I ადგილი - დათო ხარაზიშვილი (ყვარელი)
II ადგილი - ლუკა შვანგირაძე (ცაგერი)
III ადგილი - ზვიად ზვიადაური (თბილისი)

**დედოფლისწყაროდან ამ ტურნირზე 6 მოჭიდავე მონაწილეობდა, 4 არხილოსკალოდან, 2 კი ზემო მაჩხაანიდან. სამი საპრიზო ადგილის დაკავება მხოლოდ არხილოსკალოელებმა შეძლეს. ზემო მაჩხაანელებმაც კარგად იასპარეზეს, თუმცა მედლის მოპოვება ვერ შეძლეს.**

კახა წიკლაური **(მწვრთნელი):** „შეჯიბრი პატარა ასაკობრივ ჯგუფებში ტარდებოდა, რისი გამოც ბევრი სპორსტმენის მონაწილეობა არ მოხერხდა. მათ შორის ერთ-ერთი გამარჯვებული თენგო ბაშარულიც საკმაოდ პატარაა და უფროს მეტოქესთან შერკინება მოუხდა, თუმცა ამის მიუხედავად მეორე ადგილის დაკავება მოახერხა. ბაშარულის გამოსვლით კმაყოფილი ვარ, სამი წელია ვარჯიშობს და თავის ასაკობრივ ჯგუფში კარგ შედეგებს აჩვენებს. მიუხედავად იმისა, რომ ახლაც უფროსს შეხვდა, მაინც გაიმარჯვა. კარგ შედეგებს ველოდები მისგანაც. ადრე მყავდა შეჯიბრზე გაყვანილი, მაშინაც უფროსებს შეხვდა და მესამე ადგილზე გავიდა. ძალიან მოტივირებულია.

ბექა ნათელაშვილს რაც შეეხება, ვარჯიშის დაწყებისთანავე ძალიან მალე ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც ოპერაცია დასჭირდა და რკინა ჩაუდგეს, ამის გამო ექიმებმა მას ვარჯიში აუკრძალეს, სამი წელი გაჩერებული იყო, თუმცა, მაინც არ დანებდა და რამდენიმე თვეა განაახლა მომზადება. ერთი წელიც არ არის, რაც ვარჯიშობს. შედეგების დადებაც უკვე შეძლო და პაუზის მიუხედავად ოქროს მედალი აიღო. ეს მისთვის პირველი ოქროა.



მიშიკო კვირტიძე ასევე კარგი მოზარდია, საქართველოს პრიზიორია ჭაბუკებში, როგორც ქართულ ჭიდაობაში, ისე ძიუდოში. საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებშიც მონაწილეობდა. ამჯერად ის თანაგუნდელ ნათელაშვილს შეხვდა და პირველ- მეორე ადგილები გაიყვეს, მათ შორის წყდებოდა ბედი“.

ბიძინა მაზიაშვილი - საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო 20 წლის განმავლობაში. 2000 წელს, საქართველოს საუკუნის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის ბიძინა მაზიაშვილიც დასახელდა. მან აღზარდა არაერთი სახელოვანი ძიუდოისტი, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები. მისი ძალისხმევით ძიუდოში ქართული ჭიდაობის ილეთების ინტეგრირება მოხდა.

წლების მანძილზე, იაპონელ კოლეგებთან ერთად, ის აქტიურად მუშაობდა მსოფლიო ძიუდოს განვითარებისთვის. მას სიყვარულით „ძიუდოს პაპა“ შეარქვეს.

# ძმები ბენიაიძეების წარმატება პოლონეთსა და სლოვენიაში

**არხილოსკალოელი ძმები ბენიაიძეებისთვის წარმატებული გამოდგა საერთაშორისო ასპარეზობები, საიდანაც უმცროსი ძმა ოქროს, უფროსი კი ვერცხლის მედლით დაბრუნდა.**



7 მედლით დაასრულეს სადებიუტო ევროპის თასი პროექტ „მომავალის ჯუდოს“ მონაწილეებმა. სლოვენიის ქალაქ კოპერში გამართულ კადეტთა თასზე საქართველოდან 2006-07 წლებში დაბადებულმა ჯუდოკებმა მიიღეს მონაწილეობა. მძიმე წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა. ფინალისტები გვყავდა 50 და 55 კგ წონით კატეგორიებში, ხოლო 60 და 66 კგ-ის ჯუდოკები ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ. სლოვენიაში ევროპის თასზე 90+ წონით კატეგორიაში 16 წლის ლუკა ბენიაიძემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

რაც შეეხება პოლონეთში, ვარშავის საერთაშორისო ჩემპიონატს, არხილოსკალოელმა 15 წლის გიორგი ბენიაიძემ 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.

ნიკოლოზ ბენიაიძე **(მამა):** „ბიჭები 6-7 წლის ასაკში მივიყვანე ძიუდოზე, ალბათ, უფრო ჩემი გავლენა იყო, რომ სპორტის ეს სახეობა აერჩიათ. სოფელშიც, ჩვენს გარემოცვაშიც თითქმის ყველა ჭიდაობაზე დადიოდა, უფრო მოთხოვნადი და პოპულარულია, ამიტომ უფრო ამ გზით წავიდნენ. თავდაპირველად ზვიად წონკოლაურთან ვარჯიშობდნენ, ის ქედელი მწვრთნელია, თუმცა მალე ის საზღვარგარეთ წავიდა და პირველ მწვრთნელად გიორგი ახალკაციშვილი ითვლება, მასთან ვარკეთილის დარბაზში ვარჯიშობდნენ და იქ გაიზარდნენ. რამდენიმე თვეა უკვე ჩათვალეს საჭიროდ, რომ ლაშა ბექაურის მწვრთნელთან, ლექსო ღვინიაშვილთან გადასულიყვნენ და ამჯერად იქ დადიან. ახლა საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მომზადება სწორედ იქ გაიარეს. ეს მათი პირველი სერიოზული გასვლა იყო და კარგი შედეგის დადება შეძლეს. გიორგის ორჯერ ფეხის ტრავმა ჰქონდა, თუმცა ამის მიუხედავად წარმატების მიღწევა შეძლო. სხვათაშორის, ორჯერვე მისი სხვა გატაცების გამო მიიღო დაზიანება, თხილამურები უყვარს, რის გამოც თაბაშირის დადება ორჯერ დასჭირდა. ძალიან მონდომებით ვარჯიშობენ, ჩავარდნა არ ჰქონიათ, ყოველდღიურად მუშაობენ განვითარებაზე. ცხადია, ლაშა ბექაურის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატება კიდევ უფრო დიდი სტიმული აღმოჩნდა მათთვის. ახლაც რომ ჩამოფრინდნენ, დაიძინეს და გაღვიძებისთანავე ისევ დარბაზში წავიდნენ. პანდემიის პერიოდშიც, როცა ჩაკეტილობა იყო და დარბაზებიც არ მუშაობდა, სოფელში იყვნენ და სახლში ვარჯიშობდნენ. კარგად სწავლობენ, სუსტები არ არიან, გიორგის ბიზნესი აინტერესებს, ლუკას პოლიტიკა და იურისპრუდენცია იზიდავს, მეტყვის ხოლმე, პოლიტიკაში წავალო. ვცდილობთ ყველანაირად ხელი შევუწყოთ“.

კახა წიკლაური **(მწვრთნელი):** „პატარაობიდანვე



ძალიან მონდომებული ბიჭები არიან და სპორტული შემართება აქვთ. ყოველთვის ასრულებდნენ მითითებებს, საოცარი სპორტული დისციპლინა აქვთ. რასაც დავავალებდი, მთელ ენერგიას ჩადებდნენ და შედეგს აჩვენებდნენ. ამიტომ, ყოველთვის მქონდა მოლოდინი, რომ ძმები წარმატებებს მიაღწევდნენ. მუდმივად არა, მაგრამ პერიოდულად ჩემთანაც ვარჯიშობდნენ. ამ ასაკში საერთაშორისო ტურნირზე ნაჩვენები ეს შედეგი საკმაოდ კარგი წარმატებაა. წლების განმავლობაში ისინი თანმიმდევრულად მიდიოდნენ, ყველაფერი ჰქონდათ საიმისოდ, რომ გამარჯვება მოეპოვებინათ. ჩემი აზრით, გიორგი უფრო დიდი ჟინის და შემართების ბიჭია. მომავალშიც გაგვახარებენ თავისი შრომის შედეგებით“.

# მარიამ ჭიჭინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვოკალური მუსიკის საღამო

***1 ნოემბერს 30 წელი გავიდა მარიამ ჭიჭინაძის გარდაცვალებიდან. მისმა მოულოდნელმა წასვლამ ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისი გამოიწვია მის ოჯახში, დიდ სანათესაოში, მეგობრებში და იმ ადამიანებში ვინც მას ახლოს იცნობდა.***

პირველ ნოემბერს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ვოკალური მუსიკის საღამო, რომელიც მიეძღვნა ქალბატონ მარიამ ჭიჭინაძის ხსოვნას. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აკადემიური სიმღერის სოლო მიმართულების სტუდენტები: თორნიკე აბრამიშვილი (პედაგოგი ელდარ გეწაძე), ანანო ონიანი, ანა იმედაშვილი (პედაგოგი გოჩა ბეჟუაშვილი), ანნა კნიაზიანი, ავთანდილ ჭიქავა, (პედაგოგი გულიკო კარიაული), გვანცა აბურჯანია, ეკატერინე გუაჩიძე, (პედაგოგი დოდო დიასამიძე), მარიამ გაგლოშვილი, ლალი ჭიჭიაშვილი. (პედაგოგი თამარ ივერი), გურამ პაატიშვილი, ნიკო ჭელიძე, ლუკა წეველიძე, (პედაგოგი თამარ სარვაზიშვილი) ტატო ახმეტელი, (პედაგოგი გოჩა დათუსანი) და სხვები. მათ შეასრულეს ქართული და უცხოელი კომპოზიტორების საოპერო არიები. თითოეულ მუსიკალურ ნომერს მსმენელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა.

საღამოს დასასრულს, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, ნანა ჭიჭინაძემ, მადლობა გადაუხადა აკადემიური სიმღერის სოლო მიმართულების სტუდენტებს, საღამოს ორგანიზატორს კონსერვატორიის პროფესორს, გულიკო კარიაულს, დედის - მარიამ ჭიჭინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოსთვის.

ნანა ბროძელი, ოპერის მეგობარი,
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი**

მანანა და დავით შანშიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნუნუ შანშიაშვილ-ქიტიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოგილაშვილს, გია ნატროშვილს და თამილა ნადირაშვილს მამის, სიმამრის და ბიძის ძლვაწლმოსი აგრონომის

ვალიკო გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ტოკიოს გრანდ-სლემზე მხოლოდ ლაშა ბექაური წავა

**ტოკიოს გრანდ სლემზე კაცთა ნაკრებიდან მხოლოდ ლაშა ბექაურს ვიხილავთ და პრესტიჟულ ტურნირს 3-4 დეკემბერს უმასპინძლებს. იაპონურ ტატამზე საქართველოს ქალთა ნაკრების 5 წევრიც გავა. საქართველოს კაც ძიუდოისტთა ნაკრები ერთად-ერთი მონაწილით წარსდგება ისიც ლაშა ბექაური იქნება.**

შეგახსენებთ, რომ 22 წლის ქართველი ძიუდოისტი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი სწორედ ძიუდოს სამჭედლოში, ტოკიოში გახდა, მას მერე კი, მხოლოდ ორ ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და უმედლოდ არც ამ შემთხვევებში დარჩენილა. ლაშა ბექაურმა ობერვარტში ევროპის თასი მოიგო, ტაშკენტში კი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს დაეუფლა.

შეგახსენებთ, ბოლოს იაპონურ გრანდ-სლემზე ჩემპიონი ბექა ღვინიაშვილი გახდა.

საინტერესოა, ასევე ისიც, რომ იაპონიაში (ოსაკაში) გრანდ-სლემი ბოლოს 2019 წელს გაიმართა და მაშინ საქართველოს ნაკრების მონაგარი ერთი ოქროს მედალი იყო. იმავე 90 კგ-მდე წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბექა ღვინიაშვილი ავიდა.

**სპორტული მიმოხილვა მოამზადა**
**ილია მარტყოფლიშვილმა**

# თამარ ალადაშვილის სხვა სამყარო



ფართო საზოგადოებამ ანსამბლ „გორდელას" სოლისტი თამარ ალადაშვილი სიმღერით გაიცნო, თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ მას ხატვაც კარგად გამოსდის. ის წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა, ამიტომ ძალიან უყვარს ჩვენი მხარე. ბოლო ხანს სოლო კარიერა დაიწყო და სამხატვრო უნარების განვითარებაზეც სერიოზულად ფიქრობს. „შირაქი" მომხიბვლელ მომღერალს სხვა კუთხით გაგაცნობთ:

**თამარ ალადაშვილი:** „მთელი ბავშვობა ვოცნებობდი ტილოზე დამეხატა. პირველად ფუნჯი ძალიან პატარამ ავიღე, თუმცა არც მასწავლებელთან ვყოფილვარ, არც ვინმესთან, ვისაც ხატვა უყვარდა... ვერ გეტყვით, ეს ნიჭი საიდან მოდის, სანათესაოში მხატვარი არავინ მყავს. ჩემი დაკვირვებით, ფერების სიყვარულმა იქონია გავლენა, რომ დამეწყო ხატვა. ყოველთვის აღვნიშნავდი-ხოლმე, რომ ყველაზე ნიჭიერი მხატვარი ბუნებაა. მიყვარდა დაკვირვება, ყვავილებს ვათვალიერებდი და



ვხვდებოდი, რომ ბუნება სამყაროს ხასიათის მიხედვით ხატავდა. მეც ასე დავიწყე, როცა ხასიათზე ვიყავი, მხოლოდ მაშინ ვხატავდი... თავდაპირველად მუზა მოდის ფიქრში... იდეაც ძალიან ბევრია, თუმცა, ხანდახან იმდენად ბევრი, ვერც ვასწრებ მის განხორციელებას. ხატვაშიც, ისევე როგორც მუსიკაში, ნამუშევარს საკუთარ ხასიათს გადასცემ. სულ ვცდილობ, მხოლოდ ბედნიერმა ვხატო, რომ აურამ, რომელსაც მას ვაძლევ, მნახველი გააბედნიეროს. ხატვა ჩემთვის ძირითადად განტვირთვაა. ემოციებისგან ვთავისუფლდები და ვცდილობ, მერე რაღაც ახლით შევივსო. პირველი ნამუშევარი, რომელიც კედელზე დავკიდე, ჯერ კიდევ არავინ იცის... არავისთვის მიჩვენებია და მხოლოდ ოჯახის წევრები ხედავენ. ნელ-ნელა ინტერესი გაიზარდა, ვცდილობდი უკეთ მეხატა. პირველ ეტაპზე სილუეტების ხატვით დავიწყე, მერე აბსტრაქციებში გადავედი და ახლა ვცდილობ, ეტაპობრივად სხვა მიმართულებებსაც აქტიურად გავეცნო და მოვსინჯო. თუმცა, დროის უქონლობის გამო, პრაქტიკა ნაკლები მაქვს და ჯერ იმდენად ვერ ვუთამამდები.

***– რა მასალაზე მუშაობ და როგორ დახვეწე ტექნიკა?***

– ტილოსა და აკრილზე ვმუშაობ ძირითადად. ეს დროის დაზოგვაა, აკრილი მალე შრება. უნარების დახვეწაში არავინ მეხმარება. ბოლო ხანსძალიან დავინტერესდი შუქ-ჩრდილებით. აქტიურად ვაკვირდები, რათა ცოცხლად აღვიქვა ყველა დეტალი და სინათლე ნამუშევრებში სწორად შევიტანო.



ბოლო ორი წელია გამოფენებშიც ვმონაწილეობ, მათ შორის საზღვარგარეთ. 30 ივლისს ერთ-ერთ გალერეაში საერთაშორისო გამოფენა იყო, 26-29 სექტემბერს მიმდინარეობდა ინდო-ქართული კულტურის დღეები, იქაც გავიტანე ჩემი ნახატები. ასევე ვმონაწილეობდი მხატვართა ლიგის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გამოფენაში. ჩაკეტილობის ჟამს, პანდემიის გამო, რამდენიმე ონლაინ გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა. ზოგადად, გამოფენის სპეციფიკა საქართველოში, სამწუხაროდ, მხოლოდ დამთვალიერებლითა და სერტიფიკატით შემოიფარგლება.დამთვალიერებელის სიმრავლე და დადებითი ინტერესი ყველა ნამუშევარს ჰქონდა, რაც ძალიან მახარებს. ჯერ 20-მდე ნამუშევარი მაქვს შექმნილი, მაგრამ მინდა ჯერ კიდევ შევმატო სიახლეები. მაქვს რამდენიმე იდეა, რაც სამომავლოდ უნდა განვახორციელო და შემდეგ აუცილებლად ვიფიქრებ პერსონალურ გამოფენაზეც.



***– ქიზიყურ ფესვებზე რას გვეტყვი?***

– მამაჩემია არბოშიკელი, ჩვენი ოჯახის ზედაშეც არბოშიკში ისევ არსებობს. ამდენად, ეს სოფელი ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ბავშვობაში ხშირად ვახერხებდით ჩამორბენას. ტრადიციაც გვქონდა, ცხვარს კლავდნენ, ყველა ერთად ვიკრიბებოდით, დავილოცებოდით, ვმხიარულობდით... კარგად მახსოვს, პაპა იავნანებს მღეროდა ხოლმე. გული მწყდება, რომ მაშინ არ იყო შესაძლებლობა ჩამეწერა ეს ყველაფერი... დღეს უკვე თითქმის ველარ ჩამოვდივარ დედოფლისწყაროში, მაგრამ თუ რამე ღონისძიება ტარდება, ვცდილობ ჩავერთო, თუ რა თქმა უნდა, ინფორმაციამ ჩემამდე მოაღწია. ბავშვობის ასოციაციები მაქვს არბოშიკთან – ულამაზესი ხედები, სიმწვანე და ნამდვილი სოფლის, კეთილშობილი ხალხის მოსიყვარულე ურთიერთობები... ამჟამად ჩვენი სახლი ისევ დგას, მაგრამ იქ ნათესავები ცხოვრობენ. სადაც ზედაშე გვაქვს, იქ სახლი აღარაა. ინფორმაციას არ ვფლობ, იქამდე იდგა თუ არა. სოფელ საქობოში ისევ გვაქვს სახლი, იქ უფრო ხშირად ჩავდიოდი.

ვნახოთ, ცხოვრება საკმაოდ საინტერესოა, ამოწურვადი არც ჩემი თავი მგონია, რაღაც მიმართულებები მაქვს უკვე, რაც მინდა რომ გავაკეთო და ის საქმეებიც თუ გაამართლებს, ალბათ სხვა კუთხითაც გავეცნობი საზოგადოებას. წიგნია ჩემი უახლოესი ინტერესი, რომელიც ძალიან ბევრ უპასუხო კითხვას გასცემს პასუხს. ვაპირებ წიგნი დავწერო, ამაზე უკვე ვფიქრობ.



***– ბავშვებსაც ასწავლი და საკმაოდ წარმატებული გამოსვლები გაქვთ...***

– 10 წელია ბავშვებთან ვმუშაობ, თბილისში დავაარსე ბავშვთა ანსამბლი „თორდა". ბავშვებთან მუშაობა ძალიან დიდი გამოცდილებაა ჩემთვის. ეს ყველაზე სათუთი და რთული საქმეა. თუ ბავშვები გულწრფელს არ დაგინახავენ, არ მიგიღებენ... რაც მთავარია, მათ ყველაზე კარგად მასწავლეს, რომ ვიყო ის, ვინც ვარ. ძალიან ჩვეულებრივი, მოსიყვარულე, მკაცრიც, მომთხოვნიც და ხანდახან მათი თანატოლიც.

***– როგორია უახლოესი გეგმები?***

– სოლო კარიერას რაც შეეხება, უკვე აქტიურად დავიწყე სოლო კონცერტზე მუშაობა. ძალიან ბევრი ახალი სიმღერა მაქვს და მინდა, პირველად სოლო კონცერტზე მოისმინოს მსმენელმა. ჯერ-ჯერობით არ ვიცი, სად ჩატარდება, თუმცა, ვვარაუდობ, მომავალი წლის მაისის ბოლოს, ან ივნისის თვეში, იმედია ხელს არაფერი შეგვიშლის. ამას გარდა, უახლოეს მომავალში ერთ-ერთი სიმღერის პრემიერა მექნება.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ

### გურამ ქაშაკაშვილს!

გამოჩენილ ქართველ მეტალურგს, ბატონ გურამ ქაშაკაშვილს, ერთადერთ მეცნიერს საქართველოში, რომელიც ოთხგზის სახელმწიფო პრემიას ფლობს, მრავალი ჯილდოს მფლობელს, მათ შორის ნომინაციაში „საუკუნის ადამიანის" ნომინანტს, გულწრფელად ვულოცავთ დაბადებიდან 90 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

**საუკეთესო სურვილებითა და ულრმესი პატივისცემით,**
დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეების სახელით
ლადო ათანელი, ჯემალ და გია ბალაშვილები, ნანა ჭიჭინაძე.

დაიწყო გაზეთის გამოწერა - წლიური ღირებულება 20 ლარი

## საქართველო, 2023 წელს, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდება

***ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-როზაში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობს.***

„2023 წელს, საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდება. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი მიზანია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ღვინის ინდუსტრიისთვის. ჯგუფის თავმჯდომარეობა ხორციელდება ყოველწლიურად, თითოეული მონაწილე ქვეყნის მიერ, როტაციის პრინციპით. მიმდინარე წელს ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია", - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე ლევან მეხუზლამ ადგილწარმოშობის დასახელებებისა და ღვინის ხარისხთან დაკავშირებულ სავაჭრო ბარიერებზე პრეზენტაცია გამართა, ისაუბრა ღვინით ვაჭრობის მარეგულირებელ საკითხებსა და საქართველოს ღვინის ინდუსტრიის პოტენციალზე.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) წარმოადგენს ღვინის მწარმოებელი ქვეყნების (არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, საქართველო, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, აშშ, ურუგვაი) გაერთიანებას. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციის გაზიარებისა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელების გზით.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 14.11 | | სამშაბათი 15.11 | | ოთხშაბათი 16.11 | | ხუთშაბათი 17.11 | | პარასკევი 18.11 | | შაბათი 19.11 | | კვირა 20.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 14° | 2 ° | 10° | 2° | 9 ° | 1 ° | 12° | 2° | 12° | 2° | 9° | 1 ° | 8 ° | –1° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი